საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 16 სექტემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [ცალკე ნომერი] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი [...] პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 209 ორგანი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 209

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე კომისარიატის ამხანაგები გულითად მწუხარებას გამოსთქვამენ ტრაგიკულად გარდაცვალებულ ამხ.

**დონენტი გაგუას**

დაკარგვის გამო. გამოსვენება 16 სექტემბერს არამიანცის საავადმყოფოდან 1 საათზე თფ. სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ თავის სოფელში.

განსაკუთრებული საავტომობილო გუნდის უფროსი, ოფიცრები, ჯარისკაცნი და ნებით დაქირავებული მოსამსახურენი გულითად მწუხარებით აუწყებენ, რომ ამა წლის 13 სექტემბერს თავის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს იქმნენ მოკლულნი გუნდის შოფერი

**ვასო ქუქიაშვილი**

და მისი თანაშემწე

**შალვა სამათაძე**

დაკრძალვის დღე იქნება გამოცხადებული ცალკე.

**იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ**

**ვ. რუხაძის** მესამე წიგნი

**„ცხოვრების ყვავილები“**

(ლექსები).

## მოხალისეთა პრეტენზიები ბათუმზე

აჭარის მცხოვრებთა ყრილობების დადგენილებამ ძალიან შეაშფოთა ბათუმში მცხოვრებ დენიკინელთა მყუდროება. ამ ჯგუფის გაზეთმა „ნაშ კრაი“ მ ამ საკითხზე დაბეჭდა რამდენიმე წერილი, რომლებიც მეტად დამახასიათებელია რუსეთის „მპყრობელთა“ ლტოლვილების და მთელი მათი აზროვნების და მსოფლმხედველობის გასაშუქებლად.

აჭარის მცხოვრებთა დიდმა უმრავლესობამ სურვილი გამოსთქვა, რომ აჭარა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შევიდეს. „ნაშ კრაი“ ვერ ბედავს გადაჭრით უარყოს, რომ ამნაირი ხალხის [...] სურვილი. იგი ვერ ბედავს იმის თქმას, რომ ეს სურვილი ან შიშით ან რაიმე ძალდატანებით მოეხვიოს ვისმეს თავს მცხოვრებთათვის, რადგან ინგლისის ჯარის მიერ დაჭერილ აჭარაში საქართველოს არავითარი ძალდატანების წარმოება მცხოვრებზე არ შეეძლო. ასეთი სურვილი აჭარის მცხოვრებლების მიერ გამოთქმული იყო სრულიად თავისუფლად. თუკი მცხოვრებთა სურვილის გამოთქმას ყურადღება უნდა მიექცეს, თუკი ერის თვითგამორკვევას რაიმე ფასი აქვს ვისიმე თვალში, აჭარაში ამნაირი თვითგამორკვევა მოხდა. ამ თვითგამორკვევის შედეგი ისეთი გამოდგა, რომ დენიკინელთათვის ეს ხელსაყრელი არ არის, და აი ისინი ცდილობენ ეს ხალხის მიერ თავის ნებისყოფის გამოცხადება როგორმე გააბათილონ და ხალხის სურვილის განხორციელება როგორმე ჩაშალონ.

ამ მიზნის მისაღწევად „ნაშ კრაი“ ცდილობს დაამტკიცოს, რომ აჭარლების მიერ გადადგმული ნაბიჯი შემცდარი და საბედისწეროა: იგი არწმუნებს აჭარლებს, რომ აჭარას საქართველოსთან საერთო არა აქვს რა, რომ აჭარის კავშირი რუსეთთან ბევრად უფრო მჭიდრო და ცხოველმყოფელია, ვიდრე მისი კავშირი საქართველოსთან. საქართველოსთან შეერთება თქვენ ზიანის მეტს არას მოგიტანთ, არწმუნებს დენიკინელთა გაზეთი აჭარლებს. ეს შეერთება თქვენ ამიერ-კავკასიის ერთა ერთმანეთის ჟლეტაში ჩაგითრევთ და თქვენშიც გადმოვარდება ის საშინელი კოცონი, რომელიც ამიერ კავკასიაში მძვინვარებსო. და „ნაშ კრაი“ მოუწოდებს მცხოვრებლებს რუსეთთან შეერთებისაკენ, მაგრამ გაზეთი თითქოს გრძნობს, რომ აჭარის მცხოვრებლებმა შეიძლება ერთი უბრალო საკითხი მისცენ მას: თუ კი ერთმანეთის ჟლეტაზე და „კოცონზეა“ ლაპარაკი, განა არის სადმე მთელს დედამიწის ზურგზე ისეთი ერთმანეთის ჟლეტა და სამოქალაქო ომის კოცონი როგორიც რუსეთშია? განა რუსეთი არ არის გადაქცეული ორ მეომარ ბანაკად, რომლებსაც ერთმანეთი ვერ აუძლევიათ? განა რუსეთის ერის ერთი ნაწილი უწყალოდ არ ჟლეტს მეორეს? განა რუსეთის მშვენიერი ქალაქები საიამაშო ბურთივით ხან ერთ მხარის ხელში არ გადადის და ხან მეორის? განა ამის გამო სულ მთლად არ დაინგრა კიევი, [...]ესა, ეკატერინოსლავი, ხარკოვი, ყირიმის ქალაქები და ბევრი სხვა? თვით იმ ნაწილშიაც, რომელსაც თავის სამფლობელოდ სთვლიან დენიკინელები, საქმე არ არის მთლად რიგზე: წაიკითხეთ შულგინის წერილი ყუბანის რადის წინააღმდეგ, წაიკითხეთ ის ცნობები, რომლებიც ამ რადის დახურულ კარების შესახებ იყო გაზეთებში მოთავსებული და დაინახავთ, რომ სამოქალაქო ომისაგან თვით ეს მხარე ბევრად უფრო ნაკლებ არის უზრუნველყოფილი, ვიდრე საქართველო, რომ „სახელმწიფოს წესიერება და მშვიდობიანი ცხოვრება“, რომლითაც დენიკინელები ცდილობენ [...] თველოში ბევრად უფრო მაღლა სდგას, ვიდრე დენიკინელთა საბრძანებლოში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საქართველოში ეს წესიერება და მყუდრო ცხოვრება დღითი დღე მკვიდრდება და დენიკინის საბრძანებლოში კი მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. მაგრამ დენიკინელთათვის ამ რწმუნებას, ამ „იდეურ ზედგავლენას“ აჭარლებზე არც თუ დიდი მნიშვნელობა აქვს. მათ არ ეხერხებათ იდეური არგუმენტები, ისინი სულ სხვა პოლიტიკურ იარაღს არიან შეჩვეულნი და აჭარლების მოსარჯულებლად ჩვეულ იარაღს მიმართავენ. „რუსეთი დღეს შეიძლება ჩუმად იყოს და არაფერი სთქვას აჭარლების ამ ნაბიჯის გამო, ამბობს „ნაშ კრაი“, მაგრამ „ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ამას დასთმობს და ამას შეურიგდება“. „იგი შეეცდება ენერგიული პასუხი გასცეს, როდესაც ხელსაყრელი პირობები დადგება“, იმუქრება გაზეთი. დენიკინელები მაინც ცდილობენ ეს პრეტენზიები გაამართლონ: „რუსეთს აქვს ბათუმზე როგორც მატერიალური, ისე მორალური უფლებები და ის თავისდღეში არ დაადასტურებს ქართველების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს“. როდესაც მტაცებლური პოლიტიკა მადაგახსნილ იმპერიალისტებისა იპყრობს და უმოწყალოდ ყვლეფს რომელსამე ქვეყანას, ჩვენ ვიცით, რომ მტაცებლები „მატერიალურად“ დაინტერესებულნი არიან ამ დაპყრობაში და ყვლეფაში. მაგრამ თუ ამის გამო ვინმე „უფლებებზე“ და ისიც „მორალურ უფლებებზე“ ჩამოაგდებდა ლაპარაკს, ამაზე მეტი უტიფრობის წარმოდგენა კი შეუძლებელია. შეიძლება რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატია ძალიან დაინტერესებული იყო აჭარლების მფლობელობაში და ტყავის გაძრობაში, მაგრამ განა თვით ფაქტი მფლობელობისა „მორალურ უფლებას“ ჰქმნის? რაკი წარსულში ვფლობდი და ტყავს ვაძრობდი, დღესაც ამის „მორალური უფლება“ მაქვსო,—აი მთელი არგუმენტაცია დენიკინელებისა.

რა ქმნის „მორალურ უფლებას“? რა პირობებში შეიძლება „ზნეობრივ უფლებებზე“ ლაპარაკი საერთაშორისო საქმეებში? იქ, სადაც ერთი მხარე მეორის დაპყრობისაკენ მიილტვის, „ზნეობრივ უფლებების“ ხსენება ისევე სასაცილოა, როგორც მგლისა და კრავის ურთიერთობაში. „ზნეობრივი უფლებების“ ფარგალში მაშინ ვართ მოქცეულნი, როდესაც სადავო საკითხები და ხალხთა შორის ურთიერთობა ორივე მხარის ნებაყოფლობაზე და თავისუფალ შეთანხმებაზეა დაფუძნებული. სხვანაირათ განხორციელება „ზნეობრივ უფლებისა“ წარმოუდგენელია.

და მაშ ვინ უფრო დგას „ზნეობრივ უფლებების“ ნიადაგზე აჭარის საკითხში—საქართველოს რესპუბლიკა თუ დენიკინელები? საქართველოს სასიცოცხლო საკითხს შეადგენს ბათუმის მის ფარგლებში შემოერთება, მაგრამ მას ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს აჭარლების დასაპყრობათ ან მათ შესაშინებლათ და მათი ნებისყოფის გამოცხადების დასამახინჯებლათ. მას სწამს მხოლოდ ისეთი შემოერთება, რომელიც აჭარის მცხოვრებთა ნებაყოფლობაზე და თავისუფალ თვითგამორკვევაზე იქნება დაფუძნებული. დღეს აჭარის მცხოვრებთა სურვილი შეუერთდა საქართველოს რესპუბლიკის სურვილს და ამ სურვილთა თანხმობამ წარმოშვა ის ჭეშმარიტი „ზნეობრივი უფლება“, რომლის ბ.დალი დენიკინელთ სიზმარშიაც არ ზმანებიათ. ეს „ზნეობრივი უფლება“ ისეთი არგუმენტი, ისეთი იარაღია ჩვენს ხელში, რომელსაც ვერაფერს დააკლებს ვერც დენიკინელების მუქარა, ვერც მათი იარაღის ჟღარუნი.

## მკვლელები

შაბათს მომხდარი თავდასხმა გენ. ბარათოვსა და გენ. ოდიშელიძეზე დღეს უკვე სავსებით გამორკვეულია. იგი მოახდინეს იმ ელემენტებმა, რომელთაც მიზნათ დაუსახავთ საქართველოს დემოკრატია ანარქიის ალში გახვიონ და მოხალისეთა სარდლობასა და მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავ[ონ].

რას მიაღწიეს ამ უგნურებმა?

მხოლოდ იმას, რომ დახოცეს უდანაშაულო პირები, შოფერები, რომელნიც თავის შრომით ირჩენდენ თავს, [...] დემოკრატიის სისხლი დაანთხიეს, ხოლო გენ. ოდიშელიძე, რომელიც დიდი სიმპატიით სარგებლობს ქართველ წრეებში, და რომელიც დემოკრატიასა[ც] ერთ საუკეთესო ძალათ მიაჩნია, ამ ავაზაკურ თავდასხმას შედარებით იოლათ გადაურჩა. გადაურჩა აგრეთვე გენ. ბარათოვიც, რომელიც მოციქულათ არი[ს] აქ გამოგზავნილი მოხალისეთაგან.

მართალია, ჩვენ მოხალისეთა ჯარ[ი] არ მოგვწონს, მაგრამ მოციქულის პატივისცემა და მიღება—ეს ისეთი ელემენტარული წესია, რომ მისი დარღვევ[ა] საქართველოს რესპუბლიკის მესვეურ[თ] ფიქრადაც არ მოუვა. არც საქართვე[ლ]ოს ერის და დემოკრატიის ზნე [და] ხასიათი მოითმენს სტუმრის ასე შეურ[ა]ცყოფას. ჩვენ შეგვიძლია ბევრი სად[ა]ვო და საწინააღმდეგო გვქონდეს მოხ[ა]ლისეთა არმიის, მაგრამ მტერს განა ვერ გულათ ებრძვიან კულტურულ ქვეყ[ა]ნაში?

და ის, ვინც ეს ჩაიდინა, ვინც ჩ[ვე]ნის სარდლობის ერთ საუკეთესო წ[არ]მომადგენელთან მყოფ ბარათოვს—[...] ბარით გაიცავება მოუნდომა ჩვენს დე[დ]აქალაქში იგი მხოლოდ ზიზღს დაიმსახ[უ]რებს, როგორც პროვოკაციის ჩამდე[ნი], როგორც ბოროტი სული ჩვენის ერ[ის] და დემოკრატიის სამტროთ გამოსუ[ლი].

ჩვენ ვიცით, რომ ბოლშევიკების ფლეთები, რომელნიც ჯერ კიდევ ბო[და]ნობენ აქა იქ დამალულნი და წყლ[ის] ამღვრევას ცდილობენ, იდეიურ გა[ნ]ვითარებაზე იმედ-დაკარგულნი, უაზრო უგნურ ტერორისტულ შურისძიებ[ით] იმუქრებოდენ, მაგრამ მათი მუქ[არა] დღემდე განაწყენებული ბავშვის ტი[რილი] გვეგონა, გულის მოსაოხებლათ მოსროლილ მაგარ ფრაზათ ვილებდ[ით].

დღეს, კი შოფერების დამხოცვე[ლი] ანაარქიის მოციქულები, მართლა [მი]რობენ ამ ანარქისტულ გზაზე დად[ი]მას, რომ ამით თავის იდეური სიკო[...] საბოლოოთ გამოააშკარავონ. და ჩ[ვენ] ვამბობთ: ვინც იარაღს აიღებს, [ის] იარაღითვე მოკვდება. ჩვენი ქვეყ[ნის] არევას ნებას ვერავის ვერ მივცემთ.

მათ ვერ უშველის ის გარემოე[ბა], რომ პირველი შემთხვევისათვის თას [...] ბოროტი ხელი ვითომდა მოხალისეთა წარმომადგენელის წინააღმდეგ აღმართეს.

ჩვენთვის მათი ზრახვანი ნათელია, და მათი უმსგავსო მოქმედება ისეთს პასუხს ჰპოვებს, როგორისაც ღირსია. დემოკრატია მას ზიზღით შეხედავს—მისი მთავრობა კი სამ რთლიან—საწყაულით მიუწყავს.

## სახალხო გვარდიელთა პირველი ყრილობა.

(შთაბეჭდილება)

ამ ჟამათ თფილისში ორი ყრილობა მუშაობს. საქართვ. ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობა და სახალხო გვარდიელთა პირველი ყრილობა. მიუხედავათ იმისა, რომ ერობის მოღვაწენი, ყრილობის წევრნი აღფრთოვანებულნი არიან თავიანთი დიადი მიზნებით, დაუღალავად მუშაობდენ და კვლავაც განაგრძობენ გაათკეცებული მხნეობით მუშაობს,—თუმცა ათასგვარ გაჭირვებას ხვდებიან გზაზე, ათასი დაბრკოლება ეღობებათ წინ. ეტყობა, რომ ძნელია, ძალიან ძნელია სოფლად მუშაობა, რომ ჯერ კიდევ კარგა ხანს მოუხდებათ ზიდვა იმ მძიმე ჯვრისა, რომელიც დააკისრა ხალხის მოვალეობამ და რომელიც უნდა გაიტანონ გოლგოთის მთიდან სიყვარულს და თანასწორობის ახოებსა და ხოდაბუნებისკენ.

თუ თითო ოროლა მაზრას არ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის აშკარაა, რომ სოფელი დამშეულია კულტურულ ძალების უქონლობით, რომ სოფლში ძნელად და მოიპოვებიან ის პირნი, რომელთა შემწეობითაც შეიძლებოდა მუშაობის გაჩაღება, რომ მრავალი ან დახოცილია თავისუფლების დაცვაში ან არა და იარაღ ასხმული ფრონტზე დგას ჩვენს დასაცველათ. აი ესეთი გარემო მწირული მდგომარეობა ერობათა მოღვაწეებისა—გულს სევდით მსჭვალავს, სულს კაეშნის ნისლით ჰბურავს და მაკვნესებს. ახ, ნეტავ როდის, როდის დადგება დრო, როდესაც ეს მოღვაწენი სოფლებში ობლად არ იქნებიან, რომ იგინი მკრთალ ციცინათელად აღარ იციმციმებენ, არამედ გარდაიქმნებიან უთვალავ ჩირაღდნებად და აანთებენ, ბრძოლის ცეცხლით და მუშაობის სურვილით აპრიალებენ ჩვენს მითვლემილს და ილაჯ გაწყვეტილს ძალებს...

ასეთს ნაღვლიან ფიქრებით დავიარებოდი ერობათა ყრილობაზე, რომ შემომესმა ამაყად მყივან ჩვენ შევარდნების გვარდიელების ყიჟინა... მათი ყრილობა გაიხსნა გუშინ, 14 ენკენისთვეს.

მე ინსტიქტიურად გავემართე მათკენ ისე, როგორც მიაშურებს ხოლმე კუნაპეტ-ს[ქ]ელხიან ღამის თევაში დამზრალგაყინული ღამის მეხრე იმ საამოდ აგუზგუზებულს ცეცხლს, რომელსაც თვალსმოჭკრავს ხოლმე სადმე ახოში გაჩაღებულსა... აღფრთოვანებით შევეგებე ამ ყრილობას და ჩათხრობილი სული გამეხსნა, გამიხალისდა. ძარღვებში აჩქროლდა გაცელიჩებული სისხლი და ფრთა ჩამოშვებულმა ოცნებამ ისევ იწყო კასკასი. იმედიანი კასკასი დაიწყო სულმა და მყის ამოჰკიდა ნათელი სიმღერა. უხმო, უსიტყვო იყო ეს სიმღერა, მას ჩემი გაბრწყინებული თვალები აკრიმანჭულებდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ იგი ყველას ესმოდა, მე ვმღეროდი: თქვენი ჭირიმე გვარდიელებო, თქვენი, რა ეშველებოდა თავისუფლებას, თქვენ რომ არ გეშიშვლად ხმლები, რა ეშველებოდა რესპუბლიკას—თქვენ რომ თქვენი ძვლებით არ შემოგევლოთ სალკლდოვანი გალავნები მის გარშემო. რა გითხრათ ძვირფასნო, ვით შევაფასო თქვენი ღირსება, განა, ცეკას წარმომადგენლის გრ. ურატაძის თქმისა არ იყოს, შეუძლიან სიტყვას ასწეროს გვარდიელთა მშვენიერება? ღარიბია სიმღერა ჩემი. რა გინობათოთ ისეთი, რომ ღირსი იყოს თქვენი! ყვავილებს მოგიძღვნიდით, მაგრამ რა ფასი აქვს მათ, დღე მოკლეთ და მომაკვდავთ, როცა თქვენ უკეთესი და უკვდავი ყვავილები ხართ? ჩვენი ცხოვრება სავსეა უკეთესი და უმართლესი ზღაპრებით. და ეს ზღაპრები ლაპარაკობენ გვარდიელთა თავგანწირულებაზე.

ლაღობდა სული გვარდიელთა ყურებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა შიგა და შიგ შეჰნიშნავდა ხოლმე დუშეთ-თიანეთის გვარდიელებს. მე მათს თვალებში ვკითხულობდი: ძმებო, მეგობრებო, დარწმუნდით რა შესძლებია შეგნებას... შარშან ჩვენ ზარბაზნებით მოვდიოდით თქვენს წინააღმდეგ და დღეს აბა თუ ბიჭები ხართ და გაგვეჯიბრეთ თავ-დადებაში და სიცოცხლის განწირვაში...

თავმჯდომარის ამხ. ლორთქიფანიძის ფრთა კისკასა სიტყვას შეეხმატკბილა მთიულთა მეჯლისის წარმომადგენლის მისალმება.

რა სასწაულმომქმედი რამ არის დემოკრატიის ბრძოლა თავისუფლებისათვის. რისი ბრალია, თუ არა ამათი გარემოებისა, რომ მთა წინეთაც იბრძოდა, მაგრამ ჩვენს შორის ისეთი ძმური ურთიერთობა არ ყოფილა, როგორც დღეს არის. მაშინ დემოკრატია არ იყო გამოსული სამოქმედო ასპარეზზე და ამის ბრალია, რომ საქართველოს ბრწყინვალე ისტორიაში მართალია რამდენიმე, მაგრამ მაინც შავი სტრიქონია ჩაწერილი. ეს სტრიქონები შემდეგს სამწუხარო ამბავს ვალაღებენ. როდესაც დაღესტანი შამილის მეთაურობით ებრძოდა ბარბაროსულ რუსეთს დამპყრობლობის შესანარჩუნებლად, მაშინ ქართველი ბრწყინვალე წოდება ჩვენს მხედრებს წინ მიუძღოდა და რუსეთის მხედრებთან ერთად ებრძოდა მთიულებს.. მგოსანი გრ. ორბელიანი ცას უწითლებდა დამარცხებულ მთიულებს და ვგლახ, „ქართლის შავ ბედზე“ მოქვითინე ნ. ბარათაშვილიც ასე ემუქრებოდა ნიათ გამოცლილ შამილის ხალხს:

> „ძრწოდე კავკასო! ახლო არს
> დღე შენის აღსასრულისა,
> შეთქმულან შენზე ერთ პირად
> ძენი ქართლისა სრულისა,
> აღებად შენგან სისხლისა
> და აღმოსთხრად უჯილოდ
> შენს შორის ბოროტ სულისა“.

შავ-და-უკუღმა იგი დრო. დღეს ჩვენი და მთის დემოკრატია გათვითცნობიერდა, იცნო მტერ მოყვარე და ასეთის ენით აალაპარაკა თვისი წარმომადგენლები: მეჯლისის წარმომადგენლებმა განაცხა: „ჩვენ რომ კიდეც დავმარცხდეთ და მუხანათ მტერმა გაგვიპარტახოს სამშობლო—გწამდეთ, ჩვენი ჯარები თქვენს საზღვრებზე, თქვენს რიგში იბრძოლებენ გაათკეცებული მხნეობითო.

არა ნაკლები სალმი ალავერდათ გადაუღლოცა გრიგოლ ლორთქიფანიძემ: „ქროლისთვის დაბადებული არასოდეს იფოფხებს ქვეშმძრომივით და თავისუფლებისათვის მებრძოლი არასოდეს განერთხობა მტრის წინაშეო.

ეს იყო პირველი საზეიმო სხდომა გვარდიელთა ყრილობისა... მოუთმენლად მოველი შემდეგ სხდომას, ვინაიდან: „გულს მათი ხილვა უხარის თვალთ კვალად ენატრებიან!“

დ. თურდოსპირელი.

## რესპუბლიკის სახ. გვარდიის წარმ. ყრილობა

14 სექტემბერს, დილის 10 ს., ზუბალაშვილის სახ. სახლში გაიხსნა გვარდიის წარმომადგენელთა ყრილობა. 9 ნახევარ საათზე სახ. სახლში აუარებელი ხალხს მოეყარა თავი, გვარდიის დელეგატების გარდა მრავლათ იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. დამფუძნებელ კრების, მთავრობის, მუშათა საბჭოს, თვითმართველობათა წარმომადგენლები, მუშები და სხვ. სახალხო სახლი შემკული იყო წითელი და ეროვნული დროშებით. ასევე იყო შემკული დარბაზში წითელ დროშებით მარქსის, ლასალის, ენგელსის და ნოე ჟორდანიას სურათები. უკანასკნელის სურათს ამშვენებდა აგრეთვე საქართველოს თავისუფლების ემბლემა—ეროვნული დროშა. რამპის წინ მუშების ორკესტრი იყო მოთავსებული.

**ყრილობის გახსნა.**

მთავარი შტაბის წევრმა ვ. ჯუღელმა, გახსნა რა ყრილობა, მიმართა დელეგატებს შემდეგი სიტყვით:

ამხანაგებო! დღეს იხსნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა. ეს იყო ჩვენი დიადი ხნის სურვილი და ოცნება. ამ ერთი წლის წინად გვინდოდა ასეთი ყრილობის მოწვევა, მაგრამ მრავალი შინაური და გარეშე მტერი ხელს გვიშლიდა ეს ოცნება გაგვეხორციელებინა. მიუხედავათ იმისა, რომ დღეს გვაქვს ფრონტი დენიკინის წინააღმდეგ და მრავალი მუშათაგანი სდგას იქ პირისპირ მტრის წინააღმდეგ, ჩვენ მაინც მოვახერხეთ ყრილობის მოწვევა. ეს ყრილობა არის სავსებით გამომხატველი გვარდიისა, აქ წარმოდგენილი არიან გვარდიის ყველა ერთეულების წარმომადგენელნი და მთავარი შტაბის სახელით წინადადებას გაძლევთ აირჩიოთ პრეზიდიუმი.

**პრეზიდიუმის არჩევნები.**

ყრილობა პრეზიდიუმში ერთხმად ირჩევს თავმჯდომარეთ ამხ. გრ. ლორთქიფანიძეს, მის ამხანაგებათ ნიკ. ჭუმბურიძეს და მ. ძამაშვილს. მდივნებათ მიხ. ბაჟუნაიშვილს და არტემ ფანცულაიას. თავმჯდომარის ადგილს იკავებს გრ. ლორთქიფანიძე, რომელსაც დარბაზი მხურვალე ტაშის ცემით ეგებება.

**გრ. ლორთქიფანიძის სიტყვა.**

ორატორი სიტყვის დასაწყისში აღნიშნავს, რომ ის მისალმება, რომლითაც მას შეეგებენ, ეკუთვნის არა მას, არამედ მის იდეას, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით. მეტად საპასუხისმგებლო საქმე გვაქვს ჩვენ დღეს და იმედია, რომ ღირსეულათაც დავამთავრებთ მას. დღევანდელმა კრებამ უნდა გადაათვალიეროს თავისი წარსული ნაბიჯები, გაუკეთოს მას ანალიზი და ძველ შინაარსს ახალი ფორმა მისცეს. სახალხო გვარდია, ეს კაბინეტში მოგონილი არ არის, ის მუშათა წიაღში დაიბადა, ოდესღაც ის იყო პატარა ჯგუფი, ეხლა ის გაიზარდა და ჩვენც მას [...] ნაარსი დასაწუნი არ არის,—ძველი შინაარსის მოთავსება ახალ ფორმაში, აი ჩვენი მისწრაფება. გვარდია, ეს ერთი ნაწილია მუშათა კლასის,—ეს უმთავრესი გზა არ არის დაკარგული და გვარდია მუშათა კლასთან მუდმივ შეხებაში ჰპოვებს თავის ძალას. თქვენი ხმალი მუშის ჩაქუჩის და გლეხის გუთნის ფარია და ვაი იმ ხმალს, რომელიც მოინდომებს გუთანზე გაბატონებას. თქვენ არ გაამართლეთ მტრის იმედი. მათ ეგონათ, თქვენ გადაიქცეოდით მუდმივ ჯარათ, გასწყვეტდით კავშირს მუშათა კლასთან და მოინდომებდით გაბატონებას გუთანზე. მტრის ოცნება უნიადაგო გამოდგა. ამხანაგებო! სანამ გადავიდოდეთ დღის წეს რიგზე, სასოებით მოვიხსენიოთ ის პირნი, ვინც თქვენთან ერთად გვარდიაში შედიოდენ და დაანთხიეს წმინდა სისხლი თავისუფლების საკეთილდღეოთ. პატივი ვცეთ ფეხზე ადგომით დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას (მთელი დარბაზი ფეხზე დგება, მუსიკა უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს). აქ, ამხანაგებო, დარბაზში იმყოფებიან ის ამხანაგები, რომლებიც პირისპირ შეხვდნენ მტერს, მაგრამ სიკვდილს გადაურჩნენ. აქ არიან დაჭრილთა და ინვალიდთა წარმომადგენლები, რომლებიც მოელიან მორჩენას იმ იმედით, რომ ხელ ახლა შეხვდენ სიკვდილს პირისპირ რევოლიუციის დასაცავათ (ძლიერი ტაში, ინვალიდებს ყრილობა ოვაციებით ხვდება). პირველი ჩვენი მხურვალე სალამი მათ, ვინც დღეს ფრონტზე სდგას და იცავენ ჩვენს თავისუფლებას. სალამი რევოლიუციონურ ფრონტს (ტაში, ორკესტრი მარსელიეზას უკრავს). ამხანაგებო, როდესაც რუსეთში გაქცეული და მოშორებით ვიყავი თქვენგან,—ხშირათ შიში მიპყრობდა: ვაი თუ ბოროტმა ძალამ შესძლოს ძმათა შორის მტრული დამოკიდებულების დამყარება, გვარდიის და ჯარის გადაკიდება. უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავათ რეაქციონერთა სისინისა,—ძმური კავშირი გვარდიას და ჯარს შორის მუდამ იყო და იქნება. მხოლოდ ჩვენ ვეჯიბრებით ერთმანეთს იმაში, რომ ვის ერგოს [...] —პირველი ყველთოს რევოლ[იუც]იის მტერს. აქ იმყოფება ჯარების უფროსი,—ვთხოვთ მას ძმური სალამი გადასცეს ჩვენ სახელით

# დღეს

ინგლის-სპარსეთის შეთანხმებით უკმაყოფილოა საფრანგეთი და ამერიკა.

ალექსანდრიაში ეგვიპტის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ყუმბარა ესროლეს. პრემიერი უვნებელი გადარჩა.

ფრანგული გაზეთების გადმოცემით ელზას ლოთარინგში უკმაყოფილება თანდათან იზრდება

ბოლშევიკების ცნობით მარსელში გაფიცვაა.

შრომის სამინისტროში მოწვეულ თათბირზე გადაწყდა აღადგინონ მშვიდობიანი დროის მუშაობა.

რუსეთის ჩრდილო ოლქებიდან ინგლისის ჯარის გაყვანა დასრულდება ნავთსადგურების გაყინვამდე.

---

ვან ჯარს (ძლიერი ტაშით ეგებება ყრილობა ამ წინადადებას, ოვაციებს უმართავენ იქ მყოფ სამხედრო მინისტრის ამხანაგ გენ. გედევანიშვილს და ქართველ მხედრებს, მუსიკა მარსელიოზას უკრავს). ამხანაგებო! თქვენის სისხლით და ენერგიით ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე დარჩა ერთი კუნძული—საქართველო, რომელიც პატარა ოაზისია დემოკრატიისა. აქ შერჩენილია დემოკრატიული სახე. სალამი დემოკრატიის ნების ყოფის უზენაეს გამომხატველ დამფუძნებელ კრებას (ძლიერი ტაში, მუსიკა ქართულ ჰიმნს უკრავს). მას და ქართველ დემოკრატიას უდგას სათავეში თქვენი წიაღიდან გამოსული მთავრობა. საშინელი რეაქციის დროს, როდესაც რეაქციის ტალღებში ილეკება რუსეთი, გადარჩა უვნებლათ ნოეს კიდობანი არა ბიბლიური ნოესი, არამედ—საქართველოს ბელადის სალამი საქართველოს მთავრობას და მის მესვეურს ნოეს. (ძლიერი ტაში. ჰიმნი). მივესალმოთ, ამხანაგებო იმ კლასის წარმომადგენლებს, რომლის წიაღშიაც თქვენ წარმოიშვით. მივესალმოთ მუშათა დეპუტატების საბჭოს და ჩვენი მისალმება დავაგვირგვინოთ ინტერნაციონალის მისალმებით. ომის დროს მუშათა სოლიდარობა დარღვეული იყო, დღეს სდგება ხელ-ახლა ინტერნაციონალი; შევუთვალოთ მას, რომ ეს პატარა რაზმი მის განკარგულებაში არის. გავუგზავნოთ სალამი მას იმ ჩვენი დელეგატების სახით, რომლებიც მუშათა ინტერნაციონალში იმყოფებიან (ძლიერი ტაში—მუსიკა ინტერნაციონალს უკრავს).

მისასალმებელი დეპეშების ტექსტს გამოიმუშავება დაევალა პრეზიდიუმს. პირველათ ყრილობას ესალმება დამფუძნებელ კრების წარმომადგენელი. სოც.-დემ. ფრაქციის თავმჯდომარე რ. არსენიძე, რომლის გამოსვლასაც ყრილობა [illegible] ტაშით. (დამფუძნებელი კრების წევრი, სოც. დემ. ფრაქციის თავმჯდ.). წითელ გვარდიის პირველ ყრილობას გულწრფელი სალამი! ჩვენი გვარდიის წარმოშობა მოხდა რევოლუციის წიაღში ისე, როგორც დამფუძნებელი კრებისა. სათავე ამ ორი ძალისა ერთი და იგივეა. მუშათა საბჭოები, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, თფილისის მუშათა საბჭო. თქვენ გახსოვთ, თფილისის მუშათა საბჭომ წარმოშვა განსაკუთრებული ორგანო,—პირველი ჯგუფი სახალხო გვარდიისა, მაშინ ეგრეთ წოდებული—წითელ გვარდიისა და მისი პირველი შტაბი. მანვე წარმოშვა ჩვენი მართველობის აპარატიც. ამგვარად ერთმა და იმავე მოთხოვნილებამ,—რევოლუციის გამაგრებისა და განმტკიცებისამ შექმნა ეს ორი ძალა: სახელმწიფო აპარატი მისი დამცველი შეიარაღებული დემოკრატია: ეს ორი ელემენტი, რომელთაც ვალათ აწევს მოწყობა და დაცვა ამ ურთიერთობის განუყრელი და განუშორებელია. მხოლოთ მათ შეერთებულ ძალას შეეძლო წარმოეშვა დღევანდელი ვითარება: ისე მთავრობა ვერ დაიკავებ და მოეწესრიგებინა სახელმწიფოს საქმეები, რომ მას არ ყოლოდა მუდმივი და ერთგული დარაჯი, როგორიც არის შეიარაღებული დემოკრატია, შეიარაღებული ხალხის შვილები. მთავრობა ეყრდნობოდა ამ გვარდიაზე როგორც სალ კლდეზე და სძლევდა ყოველ დაბრკოლებას და მე ვამბობ იმას, რომ საქმის მოწყობას აადვილებდა ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა სახალხო გვარდია. მეორე მხრით, დამფ. კრების მიერ სახელმწიფო აპარატის აგება—უადვილებდა გვარდიას მოღვაწეობას. დამფუძნებელი კრება შეხარის იმას, რომ ჩვენ მოვახერხეთ ამ ორი წლის სასტიკი ბრძოლის შემდეგ შეგვეკრიბა პირველი საერთო ყრილობა სახალხო გვარდიისა. ეს ორი წელი ქაოტიურ გამუდმებული ბრძოლის ხანა იყო როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვისაც. და როცა მე აქ მოვდიოდი და ვხედავდი ამ დარბაზზე შემორტყმულ წითელ ალამს და აქ გაშლილ წითელ დროშებს,—ვფიქრობდი, რომ ეს არის სისხლი იმ ამხანაგებისა, რომელთაც თავი შესწირეს ჩვენს დემოკრატიას, ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს რესპუბლიკას, ეს არის უმანკო სისხლით შეღებილი დროშები და მე მწამს, ეს სახელოვანი ალამი არ დაეშვება ძირს რაცგან მას იცავს ჩვენი სიმტკიცე გვარდია — ჩვენი შეუდრეკელობა, მათი შეგნებასაა,—მისი სიმაგრე, მისი გამარჯვების თავმდები.

მე აგრეთვე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ, როგორც დღემდე, ისე მომავალშიაც სახელოვანი გვარდია შესძლებს უფრო მტკიცეთ, უფრო მძლავრათ და მედგრათ დაიცვას რევოლუციის მონაპოვარი და ის წყობილება, რომელმაც აქამდე მოიყვანა ჩვენი ხალხი.

დამფუძნებელი კრება და მისი უმრავლესი ფრაქცია, ს.-დემოკრატ. ფრაქცია გისურვებთ თქვენ მხნე მუშაობას და გონივრულათ გადაწყვეტას იმ საკითხების, რომელიც არის დღეს დასმული თქვენ წინაშე.

დამფუძნებელი კრება გულდასმით მოისმენს თქვენს სიტყვას და დადგენილებას, იგი დიდის ყურადღებით მოეპყრობა მას, არა იმიტომ, რომ ეს არის სიტყვა შეიარაღებული ძალის, არამედ როგორც რევოლუციის მონაპოვართა მთავარი დამცველი ძალის, როგორც დემოკრატიის საუკეთესო ნაწილის, ერთგვარი პარლამენტის ხმას, რომელმაც სისხლით დაამტკიცა სიყვარული რესპუბლიკისა, რევოლუციის მონაპოვარის და დემოკრატიისადმი.

ჩვენ გვწამს, რომ თუ აქამდე ხანს თქვენი ხმალი იყო მჭრელი და შეუდრეკელი, სიტყვა თქვენი ეგრეთვე მჭრელი და მნიშვნელოვანი იქნება.

გაუმარჯოს სახალხო გვარდიას, რესპუბლიკის საუკეთესო შვილებს. (ხანგრძლივი ტაში).

**ნოე რამიშვილი.** (სამხედრო, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი) ამხანაგებო! ამ დიად მომენტში განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა მთავრობა იმ ნაბიჯებს, რომელსაც სდგამს ჩვენი სახალხო გვარდია და გულწრფელ სალამს უძღვნის ხალხის საუკეთესო შვილთ.

არაჩვეულებრივ პირობებში მოუხდა მთავრობას სახელმწიფო ცხოვრების მოწესრიგება: დაშლილი ფრონტი, არევ დარეული შინაური ცხოვრება, ანარქიულ ელემენტების გამოლაშქრება,—აი ის საერთო სურათი, რომელიც მეტის მეტად მძიმე პირობებში აყენებდა ქვეყანას და მისი ნდობით აღჭურვილ მთავრობას. და ყოველ არაჩვეულებრივ, ვიტყვი მე, კატასტროფიულ მომენტში, ჩვენ გვქონდა ერთი იმედი, ერთი ნუგეში,—ეს იყო რევოლუციონურ ხალხის გულიდან, მისი წიაღიდან გამოსული რაზმი, სახალხო გვარდია.

დავასახელებ, მოქალაქენო, სამ მომენტს.

არსენალის აღება, როდესაც სახალ[illegible] ანარქიულ ელემენტებს, ფრონტიდან დაძრულ დაშლილ ლაშქარს, რომელსაც სურდა დარბევა, დისმარება ჩვენი დემოკრატიისა, დემოკრატიულ წესწყობილებისა.

არსენალის აღების საქმემ ლახვარი ჩასცა ანარქიულ ელემენტებს.

მეორე ასეთივე მომენტი, რომელსაც გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის,—ეს არის გორისა და დუშეთის მაზრებში ასე ინტენსიურად წარმოებული აჯანყება, მოწყობილი დემოკრატიის, რესპუბლიკისა და ხალხის მტრების, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტების მიერ.

თქვენ კარგათ იცით ეს დიადი საქმე, როდესაც სახალხო გვარდია შეებრძოლა ამ გამოსვლებს და ბოლო მოუღო მეამბოხეთა ცდას, დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის სურვილით გამოწვეულს.

იყო მესამე აქტი, მესამე მომენტი, რომელსაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინემ წინა ორ აქტს.

ეს იყო შინაური ბრძოლისა და ანარქიის ჩაქრობასთან ერთად ანტი დემოკრატიული, ანტი რევოლუციონური სურვილებით განწყობილი მტრის წინააღმდეგ წარმოებული ომი, ომი უცხო სახელმწიფოსთან. ეს იყო ომი ძალა უნებურათ თავზე მოხვეული, ომი სომხებთან.

თქვენ კარგათ იცით ეკატერინოფელდთან დიდი გამარჯვება, გამარჯვება, რომლისთვისაც ჩვენ რამოდენიმე წარჩინებული პირიც დავკარგეთ.

აქ სახალხო გვარდიამ იხსნა რესპუბლიკა თავის სახელოვან მოძმესთან, ჯართან ერთად, რომელსაც ის შეუსისხლხორცდა და რომელთანაც ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიოდა ყოველთვის...

სრულიად ზედმეტად მიმაჩნია ჩამოთვლა იმ დიადი საქმეებისა, რომელიც გაკეთა სახალხო გვარდიამ ამ წელიწად ნახევრის განმავლობაში. სახალხო გვარდიისათვის საჭირო არ არის დიდება და შემკობა: არა ქებისათვის და დიდებისათვის იბრძოდა სახალხო გვარდია, ის იბრძოდა თავის მოვალეობისათვის, დემოკრატიის დაცვისა და მის სამსახურისათვის და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ ამ როლს სახალხო გვარდია ასე პირნათლად შეასრულებს შემდეგში, როგორ პირნათლად, სახელოვნად და დიადათ ასრულებდა მას აქამდე რევოლუციონურ დემოკრატიის წინაშე.

მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაწერ ერთ გარემოებას,—აქ ნება მიბოძეთ ვთქვა ორიოდე სიტყვა, როგორც სამხედრო მინისტრმა.—თქვენ კარგათ იცით, რომ სახელმწიფოს დაცვა—უპირველესი საქმეა თავისუფალ და დამოუკიდებელ ხალხისთვის. სახელმწიფოს განვითარება აუცილებლათ მოითხოვს შინაურ წესრიგსაც და ამ შემთხვევაში როგორც მუდამ, ისე შემდეგშიაც თქვენი სახელოვანი ხმალი ისევე ბასრი იქნება, როგორიც იყო დღემდის და თქვენ ისევე ბრწყინვალეთ შეასრულებთ თქვენს მოვალეობას, როგორც აქამდე ასრულებდით.

ხოლო მთავრობის სახელით, მე ამას ვიტყვი, როცა საქმე ეხებოდა სახალხო გვარდიის განმტკიცებას, მის გაძლიერების საკითხს,—ის ყოველ წუთში მზად იყო უკანასკნელი საშუალება არ დაეშურა საქმისთვის და არასოდეს ეს ვალი მას არ დავიწყებია და აწიც ყოველთვის დავეხმარებით თქვენს დაცვის რესპუბლიკის, რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნების და ხალხის განვითარების საქმეში.

ჩვენი სურვილია სახალხო გვარდია იდგეს ისეთ სიმაღლეზე, როგორზედაც დღემდე იდგა და არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობება მას წინ, ვინაიდან ჩვენი მეგობრობა, რესპუბლიკის ერთიანობა და მდგომარეობა თანდათან მტკიცდება, თანდათან ძლიერდება დემოკრატიის გავლენა, დემოკრატიის ძალა და იმედი უნდა ვიქონიოთ რომ სახალხო გვარდია, რესპუბლიკის სახელოვან ლაშქართან ერთად ამ საქმეს დაეხმარება მთელი თავისი ძალღონით.

სალამი რესპუბლიკის მთავრობის სახელით რევოლუციონურ სახალხო გვარდიას. (ხანგრძლივი ტაში).

თფილისის მუშათა დეპუტატების სახელით ესალმება ყრილობას გ. **მახარაძე**, რომელიც აღნიშნავს, რომ მუშათა დეპუტატების წიაღიდან წარმოიშვა გვარდია; ჩვენ ვიცოდით, რომ რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნების და განმტკიცებას სჭირია არა მარტო ორგანიზაციული მუშაობა, არამედ—მისი დაცვა იარაღით მოგვიხდებოდა. საბჭოს არ შეეძლია არ იამაყოს იმით, რომ სახალხო გვარდია ასე თავგამოდებით იცავს თავისუფლების წითელ დროშას და იმედიც გვაქვს, რომ ის ამ დროშას ხელიდან არასოდეს არ გაუშვებს. არა ერთხელ შევკრებილვართ ჩვენ აქ, ამ დარბაზში, იმ დროს, როდესაც ანარქიის ტალღები წალეკას გვიქადდნენ. [illegible] თქვენ უნდა იცოდეთ ამხანაგებო, რომ თავისუფლების ბრძოლაში თანაგრძნობა თქვენ მხარეზეა, მთელი მუშათა კლასი თქვენთან არის (ტაში).

მხურვალე სიტყვით ესალმება ყრილობას სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენერალი **გედევანიშვილი** ორატორი, სხვათა შორის აღნიშნავს, რომ დისციპლინაში აღზრდილი ჯარი ძნელათ ეგუებოდა თავისუფლებას. ჩვენი ყურადღება თქვენკენ არის მიმართული ჩვენ გვსურს რესპუბლიკის ჯარს დისციპლინასთან ერთად შთავუნერგოთ თავისუფლების სული. ამ მხრივ თქვენგან ველით ჩვენ დახმარებას და იმედიც გვაქვს, რომ ხელი ხელ ჩაკიდებულნი ვივლით უკეთეს მომავლისაკენ. ჯარის სახელით ხმა მაღლა ვიძახი: გაუმარჯოს სახელოვან სახალხო გვარდიას. (ძლიერი ტაში)

მგრძნობიარე სიტყვით ესალმება ქალაქის თავი **ბენია ჩხიკვიშვილი** ის აღნიშნავს, რომ გვარდია დღეს ისეთ გზას ადგას, რომ მისი დამარცხება შეუძლებელი ხდება. შესაძლებელია რომელიმე დიდმა ძალამ მოსპოს გვარდია. მაგრამ ის კი ცხადია, რომ მას ვერვინ დაახევინებს. უსურვებს გამარჯვებას გვარდიას და იმედს გამოსთქვამს, რომ გვარდია რეგულიარულ ჯართან ერთათ არ დაუშვებს დაბლა წითელს და ეროვნულ დროშას და შეჰყვებს გზა გაუკაფავს დემოკრატიის უკეთეს მომავლისაკენ. (ძლიერი ტაში).

ერობათა წარმომადგენელი **დ. იაშვილი**. საქართველოს რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობის სახელით მივესალმები სახელოვან სახალხო გვარდიას. გვარდია და ერობა ორივე ემსახურება ერსა და იმავე დიად მიზანს—ჩვენი რესპუბლიკის გამტკიცების და აღორძინების საქმეს. პირველი იარაღით ხელში ის რესპუბლიკის საზღვრებს და ების თავისუფლების მტრებს, მეორე აქ შიგნით აწარმოებს ყოველდღიურ კულტურულ მუშაობას. დიდია ერობის მნიშვნელობა ხალხისთვის მაგრამ კულტურული მუშაობა მოითხოვს პირველათ ყოვლისა წესიერებს და მშვიდობიანობას დაუღალავი ბრძოლით და სამაგალითო თავგანწირვით სახალხო გვარდიამ შექმნა პირობები კულტურული მუშაობისა ჩვენში, და აი, ამაშია სახალხო გვარდიის ისტორიული ღვაწლი ჩვენი ერის წინაშე.

ამიტომ შეუყვარდა ხალხს სახალხო გვარდია, როგორც თავისი ღვიძლი შვილი. სახალხო გვარდიის დამარცხება—ხალხის დამარცხებაა, მისი გამარჯვება—ხალხის გამარჯვებაა. ხალხს სჯერა, რომ გვარდია უძლეველია, როგორც თვით ხალხი და უკვდავი, როგორც იდეა თავისუფლებისა. ხალხმა იცის, რომ არ დაჩლუნგებულა ის ხმალი, რომელიც ჰკვეთდა ბნელეთის და რეაქციის მოციქულებს სამხრეთის და ჩრდილოეთის ფრონტზე. ამასთანავე ხალხს სწამს, რომ არასოდეს არ დაეცემა დაბლა სახალხო გვარდიის წითელი, სახელოვანი დროშა. (ტაში).

ქალაქთა კავშირის სახელით მიესალმება ყრილობას **ნიკო ელიავა**. ის აღნიშნავს, რომ ქალაქთა კავშირმა გადასდო 50 ათასი მანეთი დაღუპულ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოთ, დაარსა თფილისის მუშათა დეპუტატების სახელობაზე 10 სტიპენდია ქალაქის სკოლებში გვარდიელთა შვილების აღსაზრდელათ. გარდა ამისა, ქალაქთა კავშირმა დააარსა საქართველოს დემოკრატიის ბელადის ნოე ჟორდანიას სახელობაზე 5 სტიპენდია დაარსდეს ქალაქის სასწავლებლებში (ძლიერი ტაში).

**გრ. ურატაძე** ამხანაგებო! ნება მიბოძეთ სოციალ-დემოკრატიულ ცენტრალური კომიტეტის და მისი ცენტრალური ორგანოს „ერთობის" სახელით მხურვალე ამხანაგური სალამი უძღვნა ჩვენი სახალხო გვარდიის პირველ ყრილობას დიადია მოღვაწეობა სახალხო გვარდიისა. მისი მოღვაწეობა არ აიწერება ასეთ მოკლე, მისალოც სიტყვაში. მიუდგომელი ისტორიკოსი ორი სამი თვის ნაშრომ წიგნშიაც ძნელათ შესძლებს მის მოთავსებას. ამ მოღვაწეობის აღწერას ის შესძლებს, მარა, მე ვშიშობ, რომ ის ვერ იპოვის შესაფერ სიტყვებს გვარდიელთა თავგანწირულების მშვენიერების გამოსახატავათ.

თქვენ, ამხანაგებო, კარგათ მოგეხსენებათ, რომ სახალხო გვარდიის შექმნაში, მის წარმოშობასა და განვითარებაში სოციალდემოკრატიული პარტია უხლოეს მონაწილეობას იღებდა. ამიტომ მის მოღვაწეობაზე ლაპარაკი არც მეხერხება, რადგან ეს იქნებოდა იმავე დროს ჩვენს პარტიაზე ლაპარაკი და ეს საპატიო როლი კი სხვას უნდა დაუთმო.

ვიტყვი ხოლოდ, რომ ისტორიამ ინება ჩვენი პატარა ქვეყანა პოლიტიკურ საცდელ მინდვრათ გადაექცია, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამ ცდაში მან დიდი პირ-ვარამი გადაიხადა და არა ერთხელ მაინც [illegible] და ყველა დაბრკოლებიდან გამარჯვებული გამოვიდა. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი გვარდია მჭიდროთ შეკავშირებული იყო ჩვენს პარტიასთან. პარტია და მისი ხელმძღვანელი ორგანო მსჯელობდა, არკვევდა და სწყვეტდა კითხვებს. ეს გადაწყვეტილება ჩვენს გაზეთს თქვენამდე მოჰქონდა, თქვენ კი ატარებდით ცხოვრებაში. და ასე კეთდებოდა ის დიდი საქმე, რომელმაც ჩვენი ხალხი ასე უშიშარ ნავთსაყუდელში მიიყვანა.

არცერთი პარტია არ გრძნობს თქვენს მოღვაწეობას ისე, როგორც ჩვენი პარტია, რადგანაც, როგორც იცით, ჩვენი პარტია არის მართველი პარტია, მას ისტორიამ მძიმე უღელი დაადგა და თუ მას დღემდე ასე მსუბუქათ ზიდავს—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენსა და თქვენს შორის ასეთი მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი იყო. ჩვენი პარტია ამაყობს ამით და დარწმუნებულია, რომ ჩვენი გვარდია შემდეგშიაც არ წაართმევს მას ამ სიამაყის უფლებას და საშუალებას.

ახლა კი მიიღეთ ჩემგან პარტიის სახელით არა ოფიციალური სალამი, არამედ დიდი თაიგული სიყვარულისა და ამხანაგობისა. გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას. (ტაში).

ვლ. ვოიტინსკი ესალმება ყრილობას გაზეთ „ბორბის" სახელით.

საქართველოს მუშათა პროფესიონალურ საბჭოების სახელით ულოცავს ყრილობას ამხ. აბდუშელიშვილი.

დიდი ოვაციებით ეგებება ყრილობა მთიელთა რესპუბლიკის მეჯლისის წარმომადგენლებს, რომელთა მგრძნობიარე სიტყვა და თავმჯდომარის გრ. ლორთქიფანიძის პასუხი ამ სიტყვაზე მხურვალე ტაშს იწვევს.

რკინის გზის ცენტრალურ კავშირის სახელით ესალმება ამხ. კუპრაშვილი. სოც.-ფედერალისტთა პარტიის სახელით—თედო ღლონტი.

წაკითხული იქნა ქართული სამხედრო სასწავლებლის უფროსის გენ. კვინიტაძის მისალმება სახალხო გვარდიის ყრილობისადმი და საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიისთან არსებულ სომხური სექციისაგან. ორკესტრმა დაუკრა ინტერნაციონალი.

ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით არჩეულ იქნა სამანდატო კომისია—კოტე იმნაძე, სიმონ გოცაძე, მიშა ახმეტელაშვილი და ვანო ქარცივაძე. კრებაც დაიხურა.

---

## თავდასხმა გენ. ბარათოვზე და გენ. ოდიშელიძეზე

### დამატებითი ცნობები.

**მთავრობის ცნობა.**

13 სექტემბერს, დღის 12 საათსა და 55 წუთზე ვერის აღმართზე კარუსელის დაღმართის დასაწყისის პირდაპირ, ბოროტ გამზრახველებმა ზედი ზედ ესროლეს ორი ყუმბარა საქართველოს სამხედრო უწყების ავტომობილს (№ 20), ავტომობილში ისხდენ მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი, კავალერიის გენერალი ბარათოვი და საქართველოს რესპუბლიკის ჯარების გენერალ ლეიტენანტი ოდიშელიძე და პოლკოვნიკი სელიმ გირეის ძე ალხავი. ორივე გასროლილი ყუმბარა გასკდა, რომელმაც სრულიად დაამსხვრია ავტომობილის წინა ნაწილი. ყუმბარის ნატეხებით მოკლულ იქნა პოლკოვნიკი ალხავი, შოფერი ვასილ ქუჩიაშვილი, მისი თანაშემწე შალვა სამაკაძე. დაჭრილი არიან გენერალი ბარათოვი ორივე ფეხში, მას მარჯვენა ფეხის ძვალი გადატეხილი აქვს. გენერალი ოდიშელიძე დაჭრილი არის ნიკაპში და დაშავებული აქვს აგრეთვე ყური. ბარათოვის სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის ბოროტ-გამზრახველი გაიქცა ვერის მოედნით ყორღანოვის ქუჩისაკენ, მიიმართა რა იოანნე ნათლის მცემლის ეკლესიის გალავანთან, მტკვრისაკენ ჩაუხვია. მას დაედევნენ მილიციონერები როდესაც ბოროტ გამზრახველმა შეამჩნია, რომ მას დაედევნა ერთი ერთი უფროსი აგენტი სისხლის სამართლის მილიციისა, მაშინვე გადავარდა მდინარეში (ხიდის მახლობლად) როდესაც ბოროტ გამზრახველი გამოჩნდა წყლის ზედა პირზე, ერთ ერთ მილიციონერის მიერ სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი თავში იგი მენავემ წყლიდან ამოიყვანა გონება დაკარგული, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა. მოკლული აღმოჩნდა რაჭის მაზრის მცხოვრები, სოფელ წესიდან, არკადი ელბაქიძე (ცნობილი ბოლშევიკი). მთავრობამ მინისტრთა თავმჯდომარის და სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრის სახით გამოუცხადა ღრმა მწუხარება პირადათ გენერალ ბარათოვს და მოხალისეთა ლაშქრის მისიას ამ სამწუხარო შემთხვევის გამო. (საქ. დეპ. სააგ.).

**მეორე უბნის კომისრის მოხსენებიდან.**

მეორე უბნის კომისარმა ბ. ახვლედიანმა შემდეგი მოხსენება წარუდგინა მილიციის უფროსს: იმ სამწუხარო მოვლენის [illegible] დღეს 13 სექტემბერს შუადღის 1 საათზე ვერის დაღმართზე როდესაც ორჯერ გასროლილი ყუმბარით მძიმეთ დასჭრეს ავტომობილით მიმავალი გენ. ბარათოვი და გენ. ოდიშელიძე, მეორე ყუმბარის გავარდნის შემდეგ, მე მილიციონერების თანხლებით გავეშურე იქით, საიდანაც მოისმა ყუმბარის ხმა. მივედი რა იმ ადგილას, ვერის დაღმართზე, საცა ეს მოხდა, მე განკარგულება გავეცი ალყა შემოერტყათ იმ დიდი სახლისთვის, რომელიც გამოდის ვერის დაღმართზე და მოედანზე გავიგე, რომ ამ მოედნიდან ზევით აღმართისაკენ გაეშურა ვიღაც უცნობი კაცი შავ ტანსაცმელში. მაშინვე დავადევნე მას ჩემი მილიციონერები—უფროსი მილიციონერი ჩხარტიშვილი და უმცროსი გელოვანი, რომელნიც დაედევნენ უცნობს ყორღანოვის ქუჩით იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიისაკენ მილიციონერებმა მალე დაინახეს, რომ ის უცნობი კაცი დაეშვა ეკლესიიდან დაბლა, მდ. მტკვრის მიმართულებით, მას პიჯაკის კალთის ქვეშ უჭირა რევოლვერი მილიციონერთა განკარგულებაზე—„შეჩერდი", უცნობი უფრო ჩქარი ნაბიჯით გაეშურა მდინარისკენ, მილიციონერმა გელოვანმა ესროლა ერთხელ თოფიდან ჰაერში და როდესაც დაინახა, რომ ის არ შეჩერდა, მაშინ მეორეთ ესროლა თვით მას, ამის შემდეგ უცნობი მდინარის ნაპირათ იყო მისული, ჩავარდა შიგ, საიდანაც ის ამოიღეს მკვდარი, მას ტყვია აღმოაჩნდა შუბლში.

**კერძო პირის ნაამბობი.**

შაბათს, 13 სექტემბერს, შუადღის 12 ს. საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრი გენ. ოდიშელიძე სადარბაზოთ იყო მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელ გენ. ბარათოვთან.

ამ დღეს გენ. ბარათოვის ავტომობილმა დაიგვიანა, რომლითაც ის ბინიდან თავის მისიაში უნდა წასულიყო და სთხოვა გენ. ოდიშელიძეს წაეყვანა ის. გენ. ბარათოვი ყოველ დღე დადიოდა განსაზღვრულ დროს ვერის ხიდით და დაღმართით მისიაში. გენ. ოდიშელიძემაც თხოვნა აასრულა. უკანა ადგილი ავტომობილში დაიკავეს გენერლებმა. გენ. ბარათოვს წინ დაუჯდა თავისი ადიუტანტი პოლკ. ალხავი. ვერის დაღმართზე ორი ყუმბარა ესროლეს ზედი ზედ ავტომობილის წინა ნაწილს იმ მხრიდან, სადაც გენ. ოდიშელიძე იჯდა, რითაც მოკლულ იქნა შოფერი ვასილ ქუჩიაშვილი [illegible] შალვა სამაკაძე და გენ. ბარათოვის ადიუტანტი [illegible] გენერალი ოდიშელიძე დაიჭრა თავში, ყუმბარის ნატეხები მოხვდა მას ტანში, გაკაწრული აქვს სახე და ჭრილობა აქვს ტუჩის ქვედა ნაწილში. დაჭრილი გენერლები მოთავსებულია მიხეილის საავადმყოფოში. უფრო მძიმე ჭრილობები აქვს გენ. ბარათოვს, მაგრამ, ექიმების აზრით, საშიშრო არაფერია. გენ. ოდიშელიძე მსუბუქათ არის დაჭრილი.

მოკლული შოფერი ვასილ ქუჩიაშვილი თფილისის მცხოვრებია, დაახლოვებით 20 წ. წინად ის მსახურობდა მთავრობის გარაჟში. უკანასკნელათ მსახურებდა სამხედრო სამინისტროს ავტომობილზე.

ვასილ ქუჩიაშვილის და მის თანაშემწე შალვა სამაკაძის ცხედრებს დღეს დაკრძალავენ. განსვენებულთა ამხანაგებს—შოფერებს გადაწყვეტილი აქვთ ისინი ერთად დაასაფლაონ.

ყუმბარის ერთი მსროლელთაგანი, მოკლული ელბაქიძე, როგორც მისი ნაცნობები გადმოგვცემენ, ცნობილი ბოლშევიკია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1907 წელს ერევნის მოედანზე ფულის გატაცებაში, შემდეგ ის, 1912 თუ 13 წელს გასამართლებულ იქნა ნოვოჩერკასკში მდ. დონზე პარამონოვის გემის გატაცების გამო და მისჯილი ჰქონდა კატორღა. ის მოკლულ იქნა მტკვარში გადავარდნისას.

დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი და სწარმოებს სწრაფი გამოძიება.

**თანაგრძნობის დეპეშები.**

გენ. ოდიშელიძის დაჭრის გამო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ბაქოდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

ცნობას გენერალ ოდიშელიძის მოკვლის განზრახვის შესახებ აზერბეიჯანის მთავრობა დიდი აღშფოთებით შეხვდა. გთხოვთ გადასცეთ გენერალ ოდიშელიძეს ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა ამ ვერაგული განზრახვის გამო.

მინისტრთა-თავმჯდომარე **უსუბეკოვი**.

---

ეხლა მივიღეთ სამწუხარო ცნობა გენ. ოდიშელიძის და ბარათოვის მოკვლის განზრახვის შესახებ. გთხოვთ გადასცეთ გულითადი თანაგრძნობა საქართველოს სახელოვან შვილს და მის სამხედრო ძალის საუკეთესო წარმომადგენელს ილია ზურაბის ძე ოდიშელიძეს, რომელიც გახდა მსხვერპლი სამშობლოს მტერთა.

გენერლები: **მახმანდაროვი**, **ხულკევიჩი**, **შიხლინსკი**, **პოლკ. კარგარეთელი**.

## უკანასკნელი ცნობები

**დაღესტანში.**

ბაქოს გაზეთების სიტყვით, 11 სექტემბერს დაღესტნიდან გამოსული ცნობილი საზოგადო მოღვაწეების გადმოცემით, აჯანყებულ მთიელებს დაჭერილი აქვთ დერბენტიდან 40 ვერსის მანძილზე მდებარე კასუმ-კენდი. რკინის გზა დერბენტ-პეტროვსკს შუა გაფუჭებულია. დერბენტის გარნიზონი, რომელიც 100 კაცისაგან შესდგებოდა და რომელმაც დასტოვა დერბენტი და გაემგზავრა პეტროვსკისაკენ იძულებული იყო უკანვე დერბენტში დაბრუნებულიყო.

**უსუბეკოვის წერილი.**

აზერბეიჯანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნასიბ-ბეგ უსუბეკოვმა 13 სექტემბერს წერილობით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელსაც აუწყა, რომ დენიკინის საფრთხის გამო შემოტანილ შეკითხვის გარჩევის დროს გამოირკვა ღრმა დაშორება იმ პარტიებისა, რომლებიც კოალიციურად გამოდიოდნენ. სოციალისტებისა და „ეხრარის" მიერ წარმოდგენილი რეზოლუციები არ უცხადებდნენ სრულ ნდობას მთავრობას. პარლამენტში არ აღმოაჩნდა მთავრობას საიმედო დასაყრდენი ცენტრი, რაიც გამოაშკარავდა შემთხვევით შექმნილი უმრავლესობის მიერ მიღებული რეზოლიუციით. ასეთ მდგომარეობას კაბინეტისას უსუბეკოვი სთვლის არა ნორმალურად, ამიტომ შეუძლებლათ მიაჩნია მთავრობის სათავეში დარჩენა და სთხოვს პარლამენტის თავმჯდომარეს განთავისუფლოს თანამდებობისაგან.

**რუსთა ეროვნული საბჭო აზერბეიჯანში.**

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს ბაქოში მისულ დელეგაციას აზრათ აქვს მოაწყოს დროებითი ბიურო, რომელსაც სურს კავშირი დაიჭიროს აზერბეიჯანის პარლამენტთან და მთავრობასთან. აზრათ აქვთ აზერბეიჯანში მცხოვრებ რუსთა ყრილობის მოწვევა. ეს ბიურო ბაქოს რუსთა საბჭოს მოღვაწეობას ჰგმობს, რომელიც არ შეეფერება მომენტს და საზარალოა აზერბეიჯანში მცხოვრებ რუსთა ინტერესებისა.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

15 სექტემბერი.

## ევროპიული პრესის ცნობები.

სილეზიაში ექს-კრონპრინცესას ციხე-დარბაზი მისცეს სამუდამო საკუთრებად.

ბერლინის დამოუკიდებელთა ორგანო კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ბერლინში მომხდარ შეთანხმებაზე უმრავლესობამ უარი სთქვა მხარი დაუჭიროს უმცირესობის მიერ მოწყობილ მოძრაობას, რომელიც მიმართულია პარლამენტარულ წესწყობილების წინააღმდეგ.

შრომის სამინისტროში მომხდარ თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენლები და რკინის გზის დელეგატები, გამოითქვა სურვილი აღადგინონ მშვიდობიან დროის მუშაობა, რადგან, სხვანაირათ სახელმწიფოს არ შეეძლებოდა მილიარდობით აძლიოს ჯამაგირი. მეორე მხრით, შიშიც კი გამოითქვა მუშებში არსებული მღელვარების გამო, მით უმეტეს, რომ ხელოსნები უძლური არიან რაიმეს გახდნენ კომუნისტურ ტერორის გამო. გადაწყდა დაიწყოთ ვაგონ აკეთებათ მუშაობა ძველებურათ, სამი თვის განმავლობაში.

## ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი ენკ. 14. „იზვესტია“-ში დაბეჭდილია, რომ ინგლისის და სპარსეთის ხელშეკრულების შემდეგ, მოკავ. ინგლისთან დამოკიდებულება შეიცვალეს. ამერიკელები და ფრანგები შეურაცყოფილი და დამარცხებულნი არიან. სამხედრო ცნობა. ენკ. 14. ჩრდილოეთის ფრონტი ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩვენი ჯარი დვინის ორივე მხარეზე წინსვლას განაგრძობს, ჩვენ ტყვეთ წითელი ჯარისკაცები გავანთავისუფლეთ. მარჯვენა ნაპირზე მდ. ტოპსის შესართავთან 15 ვერსზე ჩრდილოეთ-დასავლეთით კურგანიპსკაია დავიჭირეთ. მარცხენა ნაპირისკენ რულკესკაია დავიჭირეთ. დასავლეთის ფრონტი. ლუგის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ლუგაზე გადავიდა და ჩრდილოეთით 25 ვერსზე და ჩრდილოეთ დასავლეთით 55 ვერსზე სოფლები დაიჭირა, გდოვის მიმართულებით ჩუდის ტბის მარცხენა ნაპირზე ჩვენი შეტევა ვითარდება. გდოვის სამხრეთით 17 ვერსზე ჩვენმა ჯარმა სოფლები დაიჭირა. დვინსკის რაიონში კოპლაუს და კრესლავკის სამხრეთით და დვინსკის აღმოსავლეთით 30 ვერსზე ბრძოლაა. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 4 ტყვიის მფრქვეველი და ტყვეები წამოვიყვანეთ. პოლოცკის რაიონში დრისის მიმართულებით მტერი დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა. დისნის სამხრეთით ვილიკო პოლოცკის რკ. გზის რაიონში მტერმა ჩვენი ჯარი შეავიწროვა. სადგ. ზიაბკის რაიონში ბრძოლაა. ბობრუისკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მდ. დობრიხის ხაზზე უკან დაიხია. ნოვგოროდის მიმართულებით მზვერავები მოქმედებენ, ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენი შეტევა კარგათ ვითარდება.

სამხრეთის ფრონტი. ჩვენ ბახმაჩი და ბორზნო დავიჭირეთ. ვოროჟბის სამხრეთით ჩვენ სოფ. ტუჩნოე დავიჭირეთ. სუჯა ობიანის რაიონში ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია მდ. პსიოლიზე ჩვენმა ჯარმა სუჯის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერს უკან დაახევია. ბელგოროდ-კურსკის რკ. გზ. რაიონში ჩვენმა ჯარმა სად. სარაევისკენ დაიხია. ოსკოლობირიუჩის რაიონში ნოვო ოსკოლის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. უსტ ხოპერის ჩრდ ლოეთით ბუკანოვსკაიასთან ბრძოლაა. თურქესტანის ფრონტი. ურალსკის რაიონში სად. შიპოვის სამხრეთით ურალსკის სამხრეთ-დასავლეთით 70 ვერსზე ჩვენი ჯარი მტერს ებრძვის. ბრძოლის შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული. მდ. ურალის მარცხენა ნაპირზე ურალსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 20—25 ვერსზე მდ. ზარაბასტაუს რაიონში მტრის ცხენოსან ჯარს ჩვენი ჯარი ებრძვის. აკტიუბინის რაიონში, კარგალინის მიმართულებით ჩვენ სად. ტონდი დავიჭირეთ. ტაშკენტის ჯგუფი. აკტიუბინის მიმართულებით ჩვენმა თურქესტანის ჯარმა სად. ტაგუზი და ჯილანი დაიჭირა. ამ რაიონში ჩვენ 270 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ 4 ზარბაზანი, 12 ტყვიის მფრქვეველი, 300,000 ტყვია და სხვა მრავალი სამხედრო ქონება. აღმოსავლეთის ფრონტი. ურგანის რაიონში პეტროპავლოვის მიმართულ. ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა პეტროპავლოვის დასავლეთით 20 ვერსზე ახალი პოზიციები დაეჭირა. იშიმის რაიონში რკინის გზის სამხრეთით ბრძოლაა. ჩრდილოეთით ჩვენი ჯარის შეტევა ვითარდება. ტობოლის რაიონში ირტიშზე შეტევა გრძელდება.

ჩრდილოეთის ფრონტი. პინეგის რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ, 20 ვერსით წინ წაიწიეს და ბრძოლით დაიჭირეს ალექსეევკა პინეგის აღმოსავლეთით 18 ვერსზე. ჩრდილო-დვინის მიმართულებით დვინის ორივე ნაპირებზე მოწინააღმდეგე უწესრიგოთ გარბის, ანგრევს ხიდებს, ტელეგრაფის ბოძებს, აპნევს პატრონებს და საჭირო საგნებს. ჩვენმა ნაწილებმა მდ. სოლმენგამდე მიაღწია. კადომსკის მიმართულებით ძლიერი სროლაა. რკინის გზის მიმართულებით ორივე მხარების ჰაეროპლანები დაფრინავენ. გდოვის მიმართულებით ჩვენი შეტევა ჩვენ და სასარგებლოთ ვითარდება. ჩვენ ქალაქი დრისა დავიჭირეთ. ბობრუისკის მიმართულებით ჩვენი შეტევა ვითარდება. ჟიტომირის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რადომისლი დაიჭირა. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა ჩერნიგოვის სამხრეთით 38—40 ვერსზე რამდენიმე სოფელი დაიჭირა. აბაიანო სუჯენის მიმართულებით გამწვავებული ბრძოლაა, ხან ერთი მხარე იმარჯვებს, ხან მეორე. უსტ ბუზულუკის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა განაგრძო შეტევა, ბრძოლით გავიდა რამდენიმე სოფლის ხაზზე 20—30 ვერსზე უსტ-ბუზულუკის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით.

**ხამარა.** სექტ. 11 თურქესტანიდან მოსულები აღნიშნავენ, რომ თურქესტანში გზა თავისუფალია. სურსათის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თავისუფლად შემოაქვთ საქონელი სპარსეთიდან და ავღანისტანიდან. ხილის მოსავალი მეტად კარგია. ბამბის მოსავალს 15 მილიონ ფუთამდე მოელიან.

**ლონდონი.** სექტ. 4. როგორც ქაირიდან იუწყებიან, როდესაც ალექსანდრიაში ეგვიპტის მინისტრთა თავმჯდომარე ავტომობილით მიდიოდა, ერთმა სტუდენტმა ყუმბარა ესროლა. პრემიერ მინისტრი უვნებელი გადარჩა. **ლიონი.** 13 ენკენ მარსელში გაფიცვა გრძელდება, ახლად გაფიცული მატროსები თავის ნებით სტოვებენ სამ ა ხურს. **ჰელსინგფორსი.** სექ. 12. ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა. ჰელსინგფორსში, კენარდმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ გავრცელებული ხმა, თითქოს პეტროგრადის აღება ახლო მომავალში იყოს მოსალოდნელი, საფუძველს მოკლებულია. **მოსკოვი** სექტ. 13. ამერიკელი ჟურნალი „ფ...ის გაზეთს“ შემდეგს აუწყებს ჩიკაგოში ნეგრების აჯანყების შესახებ: „თეთრსა და შავს შორის ამ ხანად ნამდვილი ომია გაჩაღებული. ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული. **ლიონი** სექ 13. „მარტენი“ სერბიის და რუმინიის კაბინეტის გადადგომის გამო ამბობს, რომ სერბიის და რუმინიის მიერ დელეგაციის გამოწვევა ლობა არღვევს შუა ევროპის რეჟიმის წონასწორობას. უკანასკნელ დროს ბალკანეთის ხალხებს განსაკუთრებული საინობა და მოძრაობა ემჩნევა, რაც ახალ შეტაკების საშიშროებას ქმნის.

**მოსკოვი** სექტ. 13. ტრანსპორტის მუშების კრების გახსნის დღეს—12 სექტ. ბუხარინმა მოხსენება გააკეთა. მისალმების შემდეგ ის შეუდგა არსებულ მდგომარეობის გაშუქებას: „გენერალი დენიკინი, ადმირალი კოლჩაკი, მენშევიკები და ესერები სულ ერთსა და იმავეს იმეორებენ: „ბოლშევიკებმა თავის საქმეს არ მოჰკიდეს ხელი“. ჯერ არ იყო დრო მუშათა კლასს ასეთ მძიმე ტვირთისთვის ხელი მოეკიდა, არ უნდა შეურაცხყოთ ბურჟუაზია, არ უნდა წაერთმიათ მისთვის ქარხნები და ზავოდები, არამედ ძველ დროისებურათ უნდა ეცხოვრათო. ამ ჰანგზე გალობენ საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგენი. ხან და ხან ასეთ სიტყვებს მშვენიერ ფრაზებში ხვევენ, მაგრამ საქმის მდგომარეობა ნამდვილათ კი ასეთია: როდესაც ამბობენ, რომ სამრეწველოების ნაციონალიზაცია არ უნდა ექნათ, უნდა გავიგოთ, რომ სამრეწველოები მექარხნეებისთვის უნდა დაგვეტოვებია. როდესაც ამბობენ, რომ პურის მონოპოლია არ უნდა შემოგვეღო, უნდა გავიგოთ, რომ საჭირო იყო პური სპეკულიანტების ხელში დარჩენილიყო. ზემო მოხსენებულ პირებს ძალა უფლება ჰქონდათ ხელში ჩაგდებული, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეინარჩუნა. აგერ ორი წელიწადია, რაც ჩვენ ვარსებობთ. კერენსკიმ თავისი კამპანიით მხოლოდ რვა თვე იარსება. კოლჩაკმაც ციმბირში მხოლოდ რამდენიმე თვე იმეფა. ჩვენ მას იქიდან უკვე ვსდევნით. დენიკინი გვიტევს, მაგრამ არ ვიცით, რომელი გაიმარჯვებს. რომ შევადაროთ ვინ უფრო მკვიდრათ დგას? მუშათა კლასზე მკვიდრათ რუსეთში არავინ არ დგას. მართალია, ის განიცდის სიმშილს, სიღარიბეს და მისი საქმე ცუდათ მიდის, მაგრამ მან ეგზამენი მაინც დაიჭირა, ის უფრო მაგრათ დგება ფეხზე. შემდეგ ბუხარინი ამბობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ნახშირს, ნავთის და იმ პერსპექტივას, რომელიც ჩვენ წინ გადაიშლებოდა, რომ დენიკინის და კოლჩაკის წინააღმდეგ ვინტოვკებით ხელში საჭირო არ იყოს ბრძოლის წარმოება. რომ მშვიდობიანი ცხოვრება შესაძლებელი ყოფილიყო, ჩვენ მთელ წარმოებას შევქმნიდით, პურიც ბევრი გვექნებოდა და მატარებლებიც.

**ლონდონი,** ენკ. 7. ინგლისის სამხედრო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ რუსეთის ჩრდილოეთ ოლქებიდან ინგლისის ჯარის წამოყვანა გრძელდება. ნავთსადგურების გაყინვამდე დასრულდება ინგლისის ჯარის სრულიად გამოყვანა. ლოიდ ჯორჯი პარიზში ჩამოვიდა, რომ წინადადება მისცეს საზავო კონფერენციას, რომელმაც ის საერთაშორისო სიძნელე, რომელიც ყოველ დღე მატულობს, ვერ შესძლო მოესპო, დაიმალოს 1920 წლამდე.

**ლონდონი.** სექ. 10 უმუშევართა რიცხვი შეერთებულ შტატებში 6 მილიონამდის ასწევს. კოპენგაგენი, სექ. 5 ვოლფის სააგენტოს მიტავიდან ატყობინებენ, რომ ესტონიის საზღვარზე პსკოვთან, მდგომარეობა სერიოზულია. ბოლშევიკებმა სავსებით შესძლეს ფრონტის გარღვევა ლატვიის მთავრობა სასწრაფოდ გზავნის ფრონტზე ლატვიელთა ლანდვერებს, რის გამო კურლანდიას საკმაო ძალა არა ჰყავს. ნემენცების მიერ დატოვებულ ადგილებში ბოლშევიკური გამოსვლებია. რუსული, ლატიშური და პოლონური გაზეთები მდგომარეობას სერიოზულად სცნობენ. მოსკოვი, სექ. 14. სახალხო საბჭოთა კომიტეტის დეკრეტით 15 და 16 სექ., ღამით საათის ისარი რუსეთის მთელს რესპუბლიკაში ერთი საათით უკან უნდა დაიწიოს.

**იაურსკი,** სექ. 15. დენიკინელებმა აწამეს 7 კაცი, მათ რიცხვში მაზრის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელიც. გაუგონარ სისასტიკეს სჩადიან. ყველას თვალი აქვს ამოთხრილი, ენა და ცხვირი ამოჭრილი. ნაწამებისთვის მდუღარე წყალი გადაუსხიათ.

**პარიჟი.** სექ. 12. როგორც ლიტვის პ-ეს ბიურო აცხადებს, ნემცებს არ უნდათ უარი თქვან აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანულ პოლიტიკის წარმოებაზე. მემელში გერმანიის კონსისტორია გამუდმებულ სიძნელეს ჰქმნის, რომ წირვალოცვაში ლიტვის ენის შემოღება დააბრკოლოს. ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი სმეტანა და მოკავშირეთა კომისიები კოვნოში ყოველ დღე ღებულობენ ჩრდილო-ლიტვის მცხოვრებთაგან პროტესტებს გერმანიის ჯარის კაცების მიერ ჩადენილ ძალადობის გამო. მცხოვრებლები ნემენც. იარაღით უშვებენ წინააღმდეგობას და ცდილობენ უცხო ქვეყნის მოძალადენი განდევნონ თავის ქვეყნიდან. **მოსკოვი.** სექტემბრის 12. ჩვენ მიერ შეტევის დაწყებიდან დენიკინის თავდაცვის ორგანიზაცია სასტიკ ზომებს ღებულობს ქ. დონის როსტოვში და ნოვოჩერკასკში საბჭოთა მოსალოდნელ აჯანყების ჩასაქრობათ. დაეძებენ საბჭოთა ბოლშევიკ მუშებს. №-ის არმიის შტაბი. სექტ. 12. ციმბირში ომსკის და ირკუტსკის ტაიგებში მიმოსვლას აწესრიგებენ აჯანყებულები. რკინის გზით მიმოსვლა მხოლოდ დღით სწარმოებს. აჯანყებულებმა დაწვეს რამდენიმე სადგური. ირკუტსკის თაიოლის ქვანახშირის მაღაროების მუშებს სამი თვის ჯამაგირი არ მიუღიათ. მუშები გარბიან. მაღაროებში გაძლიერებული მცველებია დაყენებული. ვლადივოსტოკში სამხედრო პორტის მუშების გაფიცვა გრძელდება. №-ის ლაშქრის შტაბი. სექ. 12. როდესაც თეთრ-გვარდიელები ადესის მართველობის ორგანიზაციას ადგენდნენ, უკრაინის რადის წარმომადგენლები ცდილობდნენ მართვა-გამგეობაში მათაც მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ დენიკინელების წარმომადგენლებმა მათი მისწრაფება უარყვეს. ამის გამო უკრაინელები პროტესტს ადგენენ მოკავშირეთა სარდლობას. №-რის ლაშქრის შტაბი, სექ. 12. ხარკოვის ქალაქის გამგეობამ უარი უთხრა ქირის მიცემაზე იმ მუშებს, რომლებიც წარმოებებში სხვადასხვა თანამდებობაზე იყვნენ არჩეული. **ჰელსინგფორსი.** სექ. 7 „რუსკაია ჟიზნი“ სწერს: რეველიდან ხომალდით დანიაში მიდიან დაბრუნებული დანიის მოხალისენი, რომლებიც ესტონიის ფრონტზე ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდნენ. დაქირავებულებთან შეკრულ კონტრაქტს დრო 1 სექტემბერს გაუვიდა.. მოხალისეთა რაზმი ლიკვიდაციის ხანაშია.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა.**

— **საგარეო საქმეთა და იუსტიციის** მინისტრი ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი განთავისუფლებულ იქნა დასასვენებლათ ორი კვირის ვადით ამა წლის 12 სექტემბრიდან. მისი მოვალეობის აღსრულება თავდება: საგარეო საქმეთა უწყებაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარიშვილს. იუსტიციის უწყებაში—იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორს გიორგი მოსეს ძე ქიქოძეს.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში** წელს გარდა პირველ ორი კურსისა იხსნება მე-3-ე კურსი აგრონომიულ განყოფილების, რომელიც სამეცნიერო ძალებით სრულიად უზრუნველყოფილია. თხოვნების მიღება გაგრძელდება 20 ენკენისთვემდე.

— **სად. ქსანკასთან** მატარებლის აფეთქების გამო სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა შტაბის წევრ გოგიშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: სად. ქსანიდან 1 ნახევარ ვერსის მანძილზე აჯანყებმა სასწრაფო მატარებელი დაამტვრიეს. ერთი ორთქმავალი, ორი სამგზავრო და ერთი საბარგო ვაგონი გადაეშვა თხრილში და დაილეწა. გამარცვეს მგზავრები. ერთი მგზავრი დასჭრეს. ყაჩაღები რიცხვით 25 იყო. ღამის სამ საათზე გამოწვეულ იქნა ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც მოვიდა ოთხის ნახევარზე. ოთხ საათზე მოვიდა რკინის გზის მილიცია. მილიცია და გვარდიის ნაწილი გავგზავნე მუხრანში, მუხრანის გვარდიასთან შესაერთებლათ, რომელსაც მიეცა განკარგულება გამოვიდეს ყაჩაღთა დასადევნათ. მეორე ნაწილი გვარდიისა გაიგზავნა იმ მიმართულებით, საითაც წავიდნენ ყაჩაღები. სასიკვდილოთ და მძიმეთ დაშავდა 30 კაცამდე მემანქანე და მისი თანაშემწე ჯერ ცოცხლები არიან, მაგრამ ვერ გადარჩებიან. სურათი ამაღელვებელია.

— **ფოთის სახ. გვარდიის შტაბი** ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ტრაგიკულათ დაღუპულ სახელოვან და თავგანწირულ მებრძოლის 1 საგანგებო ბატალიონის უფროსის სიმონ ხუხუნაიშვილის უდროოდ დაკარგვის გამო. ფოთის გვარდიელები არასოდეს არ დაივიწყებენ თავის საყვარელ, ძვირფასს ბატალიონის უფროსს სიმონს. ფოთის სახალხო გვარდიის შტაბი.

— **„განათლების“ სამხატვრო სახელოვნო სკოლაში** 17 სექტემბრიდან იწყება გამოცდები და მიღება ახალ მოწაფეებისა. ბოლო სწავლა იწყება 22 სექტემბრიდან.

— **საქ ს დ. მ. პ. მეორე რაიონული** კოლექტივი სთხოვს ამავე რაიონის საფინანსო და სატეხნიკო კომისიის წევრებს გამოცხადდენ ბიუროს ბინაზე დღეს, საღამოს 6 საათზე.

— **საჭიროა ორი მასწავლებელი** ქავთვის ქართულ სკოლაში. ჯამაგირი თვეში 1500 მანეთი გათბობით და ბინით. მიეცემათ საგზაოც. თხოვნები მიიღება წ. კ. გ. საზ. მთავარი გამგეობის სახლში (დამფ. კრების ქუჩა № 5).

— **მიხეილ კავსაძის გუნდის** მოგზაურობაში მონაწილეობენ დანი თარხნიშვილები, რომელიც შეასრულებენ სახალხო სიმღერებს. გუნდი უკვე გაემგზავრა ამ თვის 15 ში.

— **ოზურგეთის მაზრის ერობამ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მას დაეთმოს რკინის გზის ლიანდაგი. საცხენო რკინის გზის გასაყვანათ ზუგდიდსა და ს. შემოქმედს შუა. ასეთივე შუამდგომლობა აღძრა შემოქმედის მცხოვრებლებმაც. განზრახულია შემოქმედიდან საცხენო გზის ლიანდაგის გაყვანა გომში, რომელიც ძლიერი ტყეა, სადაც ტყის ექსპლოატაცია უნდა დაიწყოს ახლო მომავალში.

— **მისალმების დეპეშა.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ერობათა ყრილობისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „საქართველოს რესპუბლიკის ერობათა მეორე ყრილობა სალამს უძღვნის დემოკრატიულ მთავრობას, უსურვებს მას რესპუბლიკის მტერზე გამარჯვებას და ნაყოფიერ მუშაობას ხალხის საკეთილდღეოთ. ყრილობა თავის მხრივ აღუთქვამს ყოველნაირ დახმარებას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში“.

— **მთავრობის თავმჯდომარე** ნოე ჟორდანიამ გორიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც სალამს უძღვნის მას გორის მაზრის ეკლესიის თანამშრომელთა და მღვდელთა ყრილობა და აღუთქვამს დახმარებას მთელი თავის ძალ-ღონით.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ს. მარგიანის მიერ შედგენილი წიგნი „ჩვენი ახალი მწერლობა“ ღირს 50 მ. წიგნი კარგათ არის გამოცემული.

— **ხანდრო მაისურაძის** სახელობაზე არსებულ სამკითხველოს სასარგებლოთ სამკითხველოს გამგეობამ მიიღო ბათუმში ალექსანდრა თოხაძის ასულის და კაპიტონ ბაბუნის მიერ ადგილობრივ ქართველებს შორის შეკრებილი 5077 მანეთი, რისთვისაც გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველთ. შემომწირველთა სიას, რომელზედაც ხელმოწერილია 75 კაცს, უადგილობის გამო ვერ ვათავსებთ.

### კრებები.

დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია კუკიის ცირკის კოლექტივის სხდომა აქვე ლის აუდიტორიის შენობაში.

ოთხშაბათს, საღამოს 7 ს. დანიშნულია ავჭალის აუდიტორიის გამგეობის სხდომა აუდიტორიის შენობაში.

ოთხშაბათს, 17 სექტ. საღ. 6 ს. საქ. რკ. გზის სამმართველოს სალიანდაგო დარბაზში დანიშნულია სამმართველოს რაიონის ს. დ. პარტიის საერთო კრება.

### პროვინციის ქრონიკა.

**ქ. ზუგდიდში.** მოკლულ სახალხო გვარდიის წევრის, ვასილ ზაქარიას ძე მეტრეველის ქვრივს,—ეკატერინა მეტრეველისას მთავრობისაგან დაენიშნა პენსია, თვიურად 300 მან.

საჭიროა ნაცნობებმა შეატყობინონ ეკატერინა მეტრეველისას, რომ ამისათვის მან მიაკითხოს ზუგდიდის სახ. გვარდიის შტაბს.

# გამოსათხოვარი რაუტი

შაბათს, სექტემბრის 13 ს, სასტუმრო „ორიანტ“-ში საქართველოს მთავრობამ გაუმართა ბათომის ოლქის მეჯლისის დელეგაციას გამოსათხოვარი რაუტი. რაუტს დაესწრო მეჯლისის დელეგაციის სრული შემადგენლობა მემედბეგ აბაშიძის მეთაურობით, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. საბახტარიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი პ. ჭიჭინაძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების წევრები ნ. ნიკოლაძე, მ. არსენიძე, გ. ცინცაძე, ვ. მგელაძე, პ. საყვარელიძე, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, საქართველოს წარმომადგენელი სომხეთში გ. მახარაძე, გ. დიასამიძე და სხვანი

თამადობდა ბ. ჩხიკვიშვილი, წარმოითქვა სადღეგრძელოები საქართველოს ერის ბელადის ნ. ჟორდანიასი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის ე. თაყაიშვილის, დელეგაციის წევრ მოლების, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის, ბათომის ოლქის პაპაჲა მეჯლისის და სხვა.

მოლა ისკანდერ-ეფენდი ცივაძემ თავის მშვენიერ საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ მუსლიმან ქართველებში დიდი ხანი ღვიოდა ეროვნული შეგნება, მაგრამ ამ შეგნების გამომჟღავნებას ხელს უშლიდა შიში სარწმუნოების დათრგუნვისა. მაგრამ ამ ომიანობის დროს საქრისტიანო საქართველოს მოქმედებამ დაარწმუნა მუსლიმანი ქართველები, რომ ამ მხრით მათ არავითარი საფრთხე არ მოელით. ახლა ამ ეროვნულ შეგნებას მიეცა ოფიციალური გამოხატულება. რაც უფრო მეტის ნდობით იქნება აღჭურვილი სამუსლიმანო საქართველო, მით უფრო მტკიცე იქნება ჩვენი კავშირი და სიყვარული. დასასრულ ისკანდერ-ეფენდიმ საქართველოს განთავისუფლება და გაერთიანება დაუკავშირა რუსეთის დიდ რევოლიუციას, რომლის პირველ მებრძოლთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავთ საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელთ. ქართველ მაჰმადიანების სახელით სიტყვას ვიძლევით,—სთქვა ისკანდერ ეფენდიმ,—რომ ჩვენ ვიქნებით ჯაჭვი, რომელიც დააკავშირებს საქართველოს მთელს სამაჰმადიანო ქვეყანას.

სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო მინისტრმა ნ. **რამიშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ სამაჰმადიანო საქართველოში არას დროს არ იქნება სავალდებულო სამხედრო ბეგარა, მაგრამ ეს კუთხე, ტრადიციით ჩვეული თავისუფლებისათვის ბრძოლას, მუდამ დაიცავს ქრისტიან ქართველებთან ერთად თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას მოხალისეთა საშუალებით.

**ნ. ნიკოლაძემ** საპასუხო სიტყვაში მოიგონა აჭარელთა დელეგაციის მოსვლა თფილისში 1878 წ. მაგრამ მაშინ, —სთქვა მან,—საქრისტიანოსა და სამაჰმადიანო საქართველოს შუა იდგა რუსეთის ძლიერი მთავრობა, რომელიც ხელს უშლიდა ჩვენს გაერთიანებას. ახლა ეს ძალა აღარ არსებობს და ჩვენ თავისუფალ გაერთიანებას არაფერი არ აბრკოლებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შეკავშირება მისცემს თქვენს მშვენიერსა და მდიდარს აჭარას დიდ წარმატებას.

**ნ. ჟორდანიამ** გამოსამშვიდობებელ სიტყვაში უსურვა დელეგაციის წევრთ კეთილად დაბრუნება და იქ ნაყოფიერი მუშაობა. თქვენ მიერ საჯაროდ გამოთქმულ სურვილებს—სთქვა მან —ვერავინ დააბრკოლებს და თუ ვინმე დაბრკოლება, მას დავსძლევთ ჩვენ შეერთებულის ძალით. გისურვებთ, რომ ახლო მომავალში ბათუმსა და აჭარაში აფრიალებულიყოს საქართველოს ეროვნული დროშა. გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს! ნ ჟორდანიის სიტყვა დაჰფარა აღტაცებულმა ტაშის ცემამ.

# სალამი სახალხო გვარდიის პირველ ყრილობას*)

მახსოვს... ნოემბრის დასაწყისი იყო, 1917 წლისა. იქ, რუსეთში, პეტროგრადის ქუჩებზე, ბოლშევიკები თავის გამარჯვებას დღესასწაულობდნენ... პეროვში ანარქია, ერთის მხრით და მისგან სულ ჩადგმული რეაქციის სული იდგა... ჰაერი იწამლებოდა. დემოკრატია, მთელი მშრომელი ხალხი, რევოლიუციის გვირგვინის დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის ენერგიულათ ემზადებოდა. ნაწილი ამხანაგებისა პროვინციას მოეფინა—სხვათა შორის, მეც მომიხდა ქალაქ გარეთ, სოფლებში მუშაობა არჩევნებისათვის. იწყებოდა ბრძოლა პირველი და გადამწყვეტი. რაის შეძლო ეწინასწარმეტყველა მოახლოვდა „სახლში წავიდნენ“ პარტია „ბოლშევიკების“ ფრონტიდან ქალაქების დასანგრევათ მოემზადებოდა... და ამიერ კავკასიაში ... დროებს უტოვებდნენ. იმას. მახსოვს... და ...

მუშათა ერთმა ჯგუფმა, განცხადება შეიტანა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან არსებულ ხაზოგადოების თავდაცვის კომისიაში, რათა დაეწყოთ შეიარაღებული მუშათა წითელი რაზმების შედგენა, და მათთვისაც მიეცათ იარაღები... ეს კითხვა კომისიაში უწინაც იდგა. განცხადება მთავარი სახელოსნოს მუშებსაც ჰქონდათ შეტანილი, მაგრამ მას ბევრი მოწინააღმდეგე შეხვდა. ბოლოს ვეღირსეთ! რაღაც ოთხის მაგვარ იარაღს „ვეტერლის“ სისტემისას... ამხანაგები ერთი მეორეს ეცილებოდნენ... უკმაყოფილებაც კი მოხდა განაწილების დროს სიცოტავის გამო. ყველა გრძნობდა, რომ საჭირო იყო თავის შველა. საჭირო იყო იარაღი. არსენალი ჩვენთვის მიუვალი იყო. იქ სხვები ისხდნენ—რევოლიუციისათვის უცხონი. მთელ იარაღის საწყობს რუსეთის ქონება უწოდეს და იმაზედაც ოცნებობდნენ, როგორმე რუსეთში გაეტანათ. დავიწყეთ მათთან მოლაპარაკება, რომელმაც ვერაფერი ნაყოფი მოგვცა... გადაწყდა ძალის ხმარება. ნოემბრის 29-ს თავი შევიყარეთ სასახლის ბაღში, ვემზადებოდით. არც კი გვინდოდა დავეჯერა, რომ მართლა წავიდოდით არსენალზე. მტკიცე უარი მივიღეთ იარაღის მიცემაზე. კიდევაც გავემგზავრეთ. მეორე დღეს ჩვენ გამარჯვებას ვდღესასწაულობდით. ის ბასტილია იყო. თურმე ნუ იტყვით, იქ გაწყდა ჩვენდა საბედნიეროდ ჯაჭვი გამარჯვებისა.

მას აქეთ იწყება ექსპედიციები გორში, თელავში, ქუთაისში, დუშეთში, სადახლოში და ცხინვალში. საქმე თანდათან სერიოზულ ხასიათს ღებულობს. შევიარაღდით. გავმრავლდით. საჭირო შეიქნა არტილერია. სადახლოში ბრძოლის დროს ჩვენ ძველის ძველი ზარბაზანი გვქონდა, რასაც ხელით ვათრევდით. საჭირო იყო უკეთესი, საჭირო იყო ცხენები.

მთელი თფილისის მოწინავე მუშები ჩაეწერნენ გვარდიაში. ტრამვაის მუშებიდანაც გაიზარდა რიცხვი და 250 კაცამდე ავიდა.

მას შეუერთდა რკინის გზის, სტამბის მუშები, ფოსტა და სხ. ვაგზალი(ტრამ ) რაიონი ყველა ოპერაციებში გზავნიდა თითო ასეულს, ზოგჯერ მეტსაც, კოდორთან ბრძოლის დროს „ბოლშევიკებთან“, პირველი მსხვერპლი ამხ. გრიშა აბულაძე (ტრამვაის მუშა) იყო. მას მიჰყვნენ ამხანაგები: ნიკო მუზაშვილი, რომელიც სადახლოში ბრძოლის დროს თათრებთან დაიჭრა და გარდაიცვალა. ახალქალაქთან ... ბრძოლაში ... ნენ: ამხ. გრიგოლ კაჰიძე და ლევან მასხულია. და დაიჭრა გიორგი აბრამიშვილი და გარდაიცვალა. სამეგრელოში ექსპედიციის დროს დავკარგეთ საუკეთესო ამხანაგი პავლე ვიქტორინი. სხვადა სხვა დროს დავკარგეთ ამხ. ანტონ კიკვაძე, დ. ბრეგვაძე, დ. ნაკაიძე, გ. ლაკაპოვი, ს. ბიბილეიშვილი, შ. ბაკურაძე, მ. ცომაია. ყველა ამათი სახელითა და ძვლებით მოიკირწყლა ჩვენი სავალი ეკლიანი გზა—თავისუფალი სამშობლოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესაქმნელათ—სოციალიზმისკენ. ჩვენ ერთგულნი ვავრჩით წითელი დროშისა. დაკარგულ ამხანაგებს სახელი ჩვენთვის მაგალითია. 14 სექტემბერს უნდა გაიხსნას პირველი ყრილობა მთელი სახალხო გვარდიისა. ამისათვის ჩვენი დახოცილი ამხანაგები მადლობისა და პატივისცემით მოგონების ღირსნი. ყრილობას ბევრი საჭირო, ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები ექნება გადასაწყვეტი, დემოკრატიის კეთილდღეობისათვის. გვწამს ის ამას შესძლებს. ეს დემოკრატიის გამარჯვებაა, მისი გვირგვინია. ეს სოციალიზმის გამარჯვებაა. მაშ ვაგზლის (ტრამვაი) რაიონის გვარდიელთა სახელით სალამი სახალხო გვარდიის ყრილობას! სალამი და გამარჯვება რევოლიუციისათვის, ბრძოლის ველში გამოწრთობილ გვარდიას.

თედორე ვახაძე.

*) უადგილობის გამო ეს წერილი წინა ნომერში ვერ დავბეჭდეთ. რედ.

# რესპუბლიკის ერობათა მეორე ყრილობა

13 სექტემბრის დილის სხდომა.

გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან.

**ს. ჭანტურიშვილი** (ოზურგეთის მაზრა). ჩვენს ერობას საშინელ ცუდ პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება, მან გუბია ჩაიბარა ოსმალეთისაგან აოხრებული, გაპარტახებული. მიუხედავათ ამისა, ერობამ ბევრი რამ გააკეთა. ამის დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ გურიამ ერობა მიიღო, ის თავისად გაიხადა.

ერობა დიდ ყურადღებას აქცევს სახალხო განათლების საქმეს. ის არ ებრძვის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების დაარსებას, როგორც ამერიკა ამას ზურგება სენაკის ერობა. გურიაში არსებობს 21 უმაღლესი დაწყებითი

სასწავლებელი, (სულ 26 საზოგადოებაა).

საექიმო სასანიტარო დარგი ჩვენში სათანადოთ მოწყობილია. გვაქვს რამოდენიმე საექიმო და საფერშლო პუნქტი. გვაქვს აგრეთვე სააფთიაქო საწყობი, შევიძინეთ ერთი აფთიაქი, ექიმობა უფასოა, ექიმს დავალებული აქვს ფული არავის მოსთხოვოს. შეუძლია აიღოს, თუ ვინმე მისცემს.

ადმინისტრაციის საკითხი დღეს ჩვენში მწვავეთ არ სდგას, კომისრების თანამდებობა გავაუქმეთ და მილიციის უფროსები დავნიშნეთ. ჩვენი ადმინისტრაცია სავსებით გადახალისებულია. უნდა გულწრფელათ ვაღიარო, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა არის მილიციის მიერ ქრთამის აღება, ბოროტ-მოქმედობის ჩადენა. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ჩვენი მილიციონერები გამოგზავნილი არიან რომელიმე ორგანიზაციის მიერ და მის წინაშე პასუხს აგებენ.

გვყავს მომრიგებელ მოსამართლენი, მაგრამ უბნები არ არის საკმარისი. ამიტომ მოსამართლეთ ჩვენ ვსთხოვეთ თემებში სიარული საქმის გასარჩევათ.

წვრილი ერთეულები ჩვენ უკვე მოვაწყვეთ. წვრილ ერთეულს დავარქვით თემი. ხმოსანთა ყრილობას თემის საბჭო. მაგალითად ასკანის თემის საბჭო, ხალხმა ეს სახელი მიიღო და შეეთვისა. ორ გამგეობის წევრს აქვს მხოლოდ ჯამაგირი. თავმჯდომარეს არ მდიეანს.

სასურსათო საკითხის მოგვარებაც ერობის გამგეობამ იკისრა, ეს საკითხი ჩვენში მწვავეთ იდგა ჩვენ ჩამოვიტანეთ ცოტა სიმინდი და გავყიდეთ ნაკლებ ფასებში, ვინემ ბაზარზე იყო, ამით ჩვენ შევძელით სიმინდის შედარებით გაიაფება.

აგრარული რეფორმა ჩვენში უმტკივნეულოთ ტარდება.

ტყის საქმე კარგათ არის მოწესრიგებული, დარაჯები ჩვენ დავაყენეთ, ჩვენ ასე გვაქვს საერთოთ წარმოდგენილი: რაც ჩვენს მაზრაშია, მაზე მზრუნველობა ჩვენ მოვალეობათ მიგვაჩნია. ჩვენ გვაქვს ის გადასახადი, რომელიც ნებადართულია, ერთდროული გადასახადი მიწაზე იწვევს უკმაყოფილებას, შესაფერი ახსნა-განმარტების შემდეგ ხალხი ღებულობს მას, საერთოდ ამის გარშემო დიდი პროვოკაცია და აგიტაცია სწარმოებს. მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რომლებზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

(შემდეგი იქნება).

## ხონის თვითმართველობის გარშემო

ამ სათაურით გაზეთ „საქართველოს" № 188 მოთავსებულია ვიღაც კ. მარტვილელის წერილი. წერილი თავიდან ბოლომდის წარმოადგენს სიყალბეს და ქუჩურ ჭორს. მაგრამ მე ამ ჟამად შევეხები მხოლოდ წერილის იმ ადგილს, სადაც კ მარტვილელი ჩემს შესახებ ბრძანებს: „დადგენილებაზე ჯერ 800 კაცს ჰქონდა ხელი მოწერილი, რომ უეცრად კრებაში შემოიჭრა გაფთორებული სახით ხონის ქალაქის თავის ამხანაგი გ. ილია რუხაძე, რომელმაც ერთ ხელ მომწერთაგანს ხელიდან დადგენილების გამოგლეჯისთანავე დაუყვირა ხალხს: თქვე დენიკინელებო, თქვენა, აქ „პოდლოგებს" აკეთებთ? მე თქვენ გიჩვენებთ სეირსა, დღესვე ვაცნობებ მთავრობას თქვენს შავრაზმულ გამოსვლას მთავრობის წინააღმდეგ, რომ სასტიკად დაისაჯოთო, და დადგენილებას ხელში ჰმუჭვნა დაუწყო, ბოლოს დახევაც მოისურვა, მაგრამ შეურაცხყოფილი საზოგადოება მივარდა მას და ქაღალდი გამოართვა".

ქალაქის თავის ამხანაგი ილია რუხაძე კრებას დაესწრო თავიდანვე, ბ. მარტვილელო. ის თავაზიანათ ეკამათებოდა ერთს ჯგუფში ჩამდგარ ნ. ჰავჰანიძეს. მოედანზე ორასამდე კაცი და ქალი იქნებოდა მხოლოდ. აქ გაისმოდა სწორედ ის ბრალდებები, რასაც თქვენ აგრე თამამად ამზეურებთ „საქართველოს" ფურცლებზე. ხელს აწერინებდნენ არა დადგენილებაზე, არამედ—ცარიელ ქაღალდზე, ქაღალდის ერთი ნაწილი ცარიელი იყო და ქვემოდ სამოცამდე ხელის მოწერა იყო. როდესაც ქალაქის თავის ამხანაგმა სთხოვა მიჩვენეთ „ტექსტი" დადგენილებისა—ამის საპასუხოთ ვიღაც ანტონ ბახტაძე შეხტა აივანზე და ისედაც აღელვებულ ხალხს მიმართა. „საზოგადოება, საზოგადოება, ილია რუხაძე ქაღალდს ხევსო". ამ დროს იქვე მდგარმა მისმა ძმამ ევგენი ბახტაძემ დაიძახა: „დაჰკარით ამასაო" ხალხი შეჩოჩქოლდა, ატყდა აურ-ზაური. ყვიროდნენ: წავიდეთ „უპრავაში" და ყველანი ამოვხოცოთ. დავამტვრიოთ, თითო აგური მაინც შევახვედროთ და სხვა ასეთები. სრულიად უმიზეზოდ თვითმართველობის მსახურს გ. ჭონიძეს ცემა დაუწყო ლევან მოვაჭრემ გერასიმე შელაძემ. მან სხვებიც მიეშველენ და ძლივს ზოგიერთების დახმარებით ცოცხალი გამოიყვანეს მსახური...

ბ. კ. მარტვილელი ამბობს: „800 კაცს ჰქონდა ხელი მოწერილიო". 800 კაცს იმ ქაღალდზე დღესაც არა აქვს ხელი მოწერილი, მიუხედავათ იმისა, რომ კ. მარტვილოელის თანამოაზრენი მეორე კვირაა, რაც ამ ქაღალდს დაატარებენ უბან უბან და ხან მუქარათ, ხან ჭორების გავრცელებით აწერინებენ ხელს მცხოვრებთ.

ქალაქის თავის ამხანაგს რომ სურვებოდა ქაღალდის დახევა ანდა კრების აკრძალვა, განა მის ხელთ სხვა საშუალება არ იყო ბ. მარტვილელო? მაგრამ მას არც ერთი, არც მეორე არ განუზრახავს, რადგან მან იცის, რომ იმ ქაღალდს იმდენი მნიშვნელობა და ფასი აქვს, რამდენიც თქვენს პროვოკაციას.

ბ. კ. მარტვილელი ბრძანებს, თითქოს მე დამეძახოს ხალხისთვის „აი თქვენ დენიკინელებოო". ამაზე კი ითქმის: „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო". ხოლო ერთი კი საკითხია: ნეტავ ვისი ფულები იხარჯება ამ საქმის მოსაწყობათ? ვისი თანხით მიემგზავრება თქვენი დელეგაცია, ან ვინ აძლევს დღიურებს იმ პირთ, რომლებიც დადიან და ხელს აწერინებენ? მე მგონია უსაქმოთ დარჩენილი ვექილი და პატარა აქციზის ჯიბე ამ ხარჯებს ვერ გაუძლებს.

ხონის ქალაქის თავის ამხ.

ილია რუხაძე

## ს.-დ. პარტიაში

**ფოთი.** ამხ. ავქსენტი მეგრელიძე წელიწად-ნახევრის განმავლობაში ღებულობდა უსახელო წერილებს, რომლითაც მას სიკვდილს ემუქრებოდნენ. მეგრელიძემ ეჭვი აიღო ამხ. მარ. ქადიეშვილზე. შეურაცხყოფილმა ქადიეშვილმა დაჟინებით მოითხოვა შემდგარიყო პარტიული სასამართლო. სასამართლო შესდგა. ამხ მარ. ქადიეშვილი გაამართლა, მეგრელიძეს კი გამოუცხადა ამხანაგური საყვედური და დააკისრა ქადიეშვილის წინაშე ბოდიშის მოხდა.

კომიტეტის მდივანი.

---

**პარტიული მუშაობა ლიანდაგზე.** 31 ივლისიდან სად. ცემში დაარსდა ს.-დ. ორგანიზაცია. ორგანიზაციაში შედის 30 წევრამდე. ამ რიცხვში შედიან აგრეთვე როგორც რკინის გზის მოსამსახურეები, აგრეთვე სოფლელებიც. ორგანიზაციამ აირჩია თავმჯდომარეთ ივანე ზ. მგელაძე, ამხანაგათ მ. ტაბატაძე, მდივნათ თეოფანე მიხეილის ძე ხვიჩია. ორგანიზაცია შეუდგა სისტემატიურ მეცადინეობას ამხ. შახნაზაროვის ხელმძღვანელობით. მეცადინეობა არის კვირაში ერთხელ—შაბათობით.

---

**რკ. გზის სამმართველო.** 12 სექტემბერს ამხ. ... შესდგა სამმართველოს რაიონის ს. დ. პარტიის წევრთა კოლექტივის სხდომა. დაესწრო 8 წევრი. გასარჩევი იყო სამი საკითხი. პირველად მოსმენილ იქნა მოხსენება თფილისის კომიტეტიდან და მეორე რაიონიდან. სხდომამ ზოგიერთი საკითხები მოხსენებიდან გამოყო და მცირე კამათის შემდეგ ზოგი მიიღო ცნობათ, ზოგიც აღსასრულებლად. სხვათა შორის, კრებამ მიიღო აღსასრულებლად, რომ 1 ოქტომბრამდე მის რწმუნებულ პარტიის წევრებმა პარტიული გადასახადი უსათუოდ გადიხადონ. ვინც არ გადიხდის, წევრობიდან იქნება გარიცხული გაზეთში გამოცხადებით.

მეორე საკითხათ სხდომამ მოისმინა საერთო კრებაზე წარსადგენი ქვეკოლექტივის მოქმედების ანგარიში. უკანასკნელი მიენდო შესასწორებლად კოლექტივის ერთერთ წევრს.

ბოლოს განხილულ იქნა საერთო კრების მოწვევის საკითხი. ერთხმად გადასწყდა სამმართველოს რაიონის ს. დ. პარტიის წევრთა საერთო კრება მოწვეულ იქნას ოთხშაბათს 17 სექტემბერს საღამოს 6 საათზე სამმართველოს სალიანდაგო დარბაზში. დღის წესრიგი იქნება: მოხსენება მომენტზე. მომხსენებელი დამფუძნებელ კრების წევრთაგანი იქნება. მეორე ქვეკოლექტივის მოქმედების ანგარიში და მესამე ქვეკოლექტივის არჩევნები.

საქარელი მ.

---

**ქ. ლანჩხუთი.** 31 აგვისტოს შედგა ლანჩხუთის ს.-დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. დღიურ წესრიგში დაისვა კოლექტივის რეორგანიზაცია. ფარული კენჭის ყრით კოლექტივის წევრებად არჩეულ იქნენ: კოლია წილოსანი, კოწია წილოსანი, კოტე იმნაძე, ლად. წულაძე, ლ. კვეტაიშვილი, მ. კვასხვაძე, არ. იმნაძე, აპ. ჯორბენაძე, პ. წერეთელი, ლ. შარაშიძე, ნ. ლლონტი, ავთ. ურუშაძე, იაკ. კალანდარიშვილი, ალ. ბარამიძე, ბეს. ცინცაძე; გურიის კომიტეტის წევრებად: კოლია წილოსანი, ლად. წულაძე, იაკ. კალანდარიშვილი.

3 სექტემბერს მოხდა სხდომა ახლად არჩეულ კოლექტივისა. დაესწრო კოლექტივის სრული შემადგენლობა. სხდომა გახსნა ძველი კოლექტივის თავმჯდომარემ ამხ ლ. კვეტაიშვილმა. კრებამ მოისმინა მოხსენება ამხ. სოლომონ ვადაჭკორიასი და მ. ბაჟუნაიშვილისა გურიაში პარტიული მუშაობის შესახებ.

ამის შემდეგ მოხდა კოლექტივის პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები. არჩეულ იქნენ: კოლექტივის თავმჯდომარეთ ამხ. კოტე იმნაძე, თავმჯდომარის ამხანაგათ კიწია წილოსანი, ორგანიზატორათ ლ. შარაშიძე, მოლარეთ ნ. ლლონტი და მდივნათ იაკ კალანდარიშვილი.

კანი.

## პროვინცია

**ს. ვაჩნაძიანი,** (თელავის მაზრა). 29 აგვისტოს შესდგა ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოების და შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრება. დაესწრო სამაზრო ერობის წარმომადგენელი ბ. ჩანგაშვილი, კახეთის კავშირის თავმჯდომარე ბ. დ. ქადაგიძე და პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი ბ. ფარეიშვილი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. აუხაზავა, მდივნათ გ. ჯანდიერი. კრების მოწვევის მიზანი იყო: 1) პროფესიონალური კავშირის მიერ მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდება და კოოპერატივისა და ერობის ურთიერთშორის დამოკიდებულება. სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ პირველ კითხვას რწმუნებულთა შორის დიდი კამათი არ გამოუწვევია და მიუხედავათ იმისა, რომ პროფესიონალურ კავშირის დადგენილება ჯამაგირის მომატების შესახებ, სრული კანონიერი და სამართლიანი იყო, ის ერთის ხმით უარყო კრებამ იმ მოსაზრებით, რომ „ჩვენს კოოპერატივს შეძლება არ აქვსო". დიდი კამათი გამოიწვია მეორე კითხვამ. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდან ერობამ ყოველგვარი საქონელი კოოპერატივს უნდა გადასცეს, რომ მომხმარებლებს მიაწოდოს და მასთან როგორც უმაღლესი დაწესებულება თავის ფარგლებში, საჭიროთ მიგვაჩნია საქმიანობისთვის, საერთო ხელმძღვანელობისა და კონტროლის უფლება მიეცეს ადგილობრივ წვრილ ერთეულსო (ერობას). კახეთის კავშირის თავმჯდომარე ბ. დ. ქადაგიძე ამტკიცებდა: „ჩვენში დემოკრატიული ერობა არ არის. ამ მხრივ ძველი რუსეთის ერობა გაცილებით სჯობდა. იქ (რუსეთში) კოოპერატივი და ერობა ხელი-ხელ ჩაკიდებული ემსახურებოდა დემოკრატიის საქმეს... ჩვენი ერობა კი ყოველგან ხელს უშლის კოოპერატივის გავითარებას და პირიქით, სცარცვავს მას მაგ., ზუგდიდის ერობამ კოოპერატივს ავტომობილი მიითვისა, თელავის ერობამ კახეთის კავშირის სავსებით რეკვიზიცია უყოო". მასთან ბრძანებს ბ. ქადაგიძე. „ჩვენი კოოპერატივებს ხშირად დეფიციტი აქვს, ჩვენ ვმალავთ ამ მდგომარეობას, რომ კრედიტი არ დავკარგოთ, ისინი კი (ერობა) ყველაფერს ასეთ საიდუმლოებას შარაზე დასდებენო და სხვა. ასეთი არგუმენტების შემოწმებით ბევრი უმტკიცა კრებას ბ. ქადაგიძემ, რომ კოოპერატივსა და ერობას ჩვენში არავითარი კავშირი არ უნდა დაურჩეს, თორემ იცოდეთ „ერობები დაღუპავს კოოპერატივებსო".

კენჭის ყრის დროს გაიმარჯვა მოწინააღმდეგე მიმდინარეობამ, ე. ი. ერობას უფლება ეძლევა საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად კანტროლი გაუწიოს კოოპერატივს და თუ რაიმ საფრთხე მოელის დაწესებულებას, საზოგადო კრება მოიწვიოს გამგეობამ და თავის მხრივ სათემო (საერობო) გამგეობამ ხელმძღვანელობა გაუწიოს საზოგადოებას, დაესწროს საქონელზე ფასების დადების დროს მსჯელობა—სათათბირო ხმით და სხვა.

იგი.

---

**საგარეჯოს** საფეიქრო სკოლა ეკუთვნის ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას. სახლის პატრონმა პეპინოვმა საჩივარი აღძრა მომრიგებელ მოსამართლესთან და მოითხოვა სკოლის განთავისუფლება. პეპინოვს საგარეჯოში ოთხი სახლი აქვს. ასერომ, საცხოვრებლად მას სახლი არ სჭირია. ეჭვი არ არის, რომ მას ამ სახლის ქირად მეტი აიღოს.

საგარეჯოს მომრიგებელმა მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა დაადგინა გაეძევოს სკოლა სახლიდან და მისი ქონებას საჯაროდ გაყიდვით ხარჯების ასანაზღაურებლად. ამგვარ ის დაწესებულება რომელიც დიდ სარგებლობას აძლევს ჩვენს ქვეყანას სახლიდან იდევნება და მუშაობას უსპობენ

X.

---

**ძირულა.** 9 სექტემბერს შესდგა კრება, რომელსაც დაესწრო რკინის გზის ლიანდაგის და ადგილობრივ ქარხნის მუშები და მცხოვრებნი. კრებაზედ დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. ერმალო კალაძემ გააკეთა მოხსენება დამფუძნებელი კრების მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა.

ამის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება დამფუძნ. კრების წევრის ამხ. ერ. კალაძის, დამფუძნებელი კრების მუშაობის შესახებ და უწევს რა კრება ანგარიშს დღევანდელ რთულ და მძიმე პირობებს, რომელშიდაც მას უხდება მუშაობა, კმაყოფილია მისი მუშაობით და უსურვებს შემდეგშიდაც ასეთივე ენერგიით ემუშაოს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ".

ამ ებ—ძე.

---

**ყარაიაზი.** (ფოსტა ტელეგრაფის ოლქის გამგის საყურადღებოდ). არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, წერილებისა და სხვადასხვა კორესპონდენციების ბედ-იღბალზე. კორესპოდენციაზე გარკვევით აწერია მისამართი, მიდის კი სულ სხვაგან და ვერ აღწევს თავის დანიშნულ ალაგს. სადგურ ყარაიაზში ფოსტის განყოფილება არ არსებობს და აგრეთვე პასუხისმგებელი ფოსტალიონიც არ არის; აქ მხოლოდ, სადგურის სამორიგო ოთახში ერთი მაგიდის უჯრა არის მიჩენილი და რაც კორესპონდენციები მოდის, ყველას ყრიან შიგ; ამ უჯრაში, სადაური წერილები გინდათ არ ნახოთ. მაგალითად, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილი მისამართით გაგზავნილი წერილები г. Самтреди, Окружной Штаб Народ. Гвардіи Шалвѣ Копалейшвили, 2) ყარაჯალა, ტერენტი ბესელიას 3) Ст. Карели, дер. Руйси, Алексѣю Георгіевичу Ковлелашвили, 4) სოფ. ბულახი, კაპიტან ფილიპე რურუას, 5) სად. სალოლლი, მოქალაქე ერმილე გუმბარიძეს და ბევრი სხვა, ჩამოთვლაც კი არ შეიძლება.

5 სექტემბერს ყარაიაზის სადგურზე ასეთ თავგასულობას ჰქონდა ადგილი: საფოსტო მატარებელი შემოვიდა, უფროსი მილიციონერი გაემგზავრა საფოსტო ვაგონისაკენ „ყარაიაზის ფოსტას" ძახილით (საფოსტო მატარებელი მოდის ღამის 12 საათზე), ვაგონიდან აძლევენ მას სალოლლის ფოსტას, მილიციონერი უკან უბრუნებს და დარიგებას აძლევს: „ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება და რომ არ მოხდეს ამიტომ საჭიროა, სემაფორს რომ მოუახლოვდებით ფოსტა დამზადებული იქონიოთო". ეს დარიგება მან იუკადრისა და რუსულად დაუწყო გინება: „შე საწყალო დარაჯო, შენ ფარნების მწმენდავათ უნდა იყო, რა უფლება გაქვს მე მოხელეს დარიგება მომცეო. და ათასი სხვადასხვა გვარი ქუჩური ლანძღვა-გინებით შეამკო. მგონი ოქმიც შეადგინეს ამის შესახებ.

ნავთლუღიდან სალოლლამდე ფოსტის განყოფილება არსად არ არსებობს და ფოსტის მარკას ვერსად იშოვით. საფოსტო მატარებელსაც არ მოაქვს მარკები, დამტარებელი მოხელე არ სთვლის თავის თავს ვალდებულად, რომ მარკები იქონიოს.

საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

გრ. ფაჩუშვილი.

---

**ქ. სამტრედია.** 1 სექტემბერს შესდგა ახლად არჩეულ სამტრედიის ოლქის სახალხო გვარდიის შტაბის კრება. კითხვები იყო: 1) პრეზიდიუმის არჩევა, 2) რეგლამენტის შემუშავება.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა: 1) სერგო ნინუა (ყოფილი თავმჯდომარე), 2) ვ. კორძაია, 3) ათანასე ჭანტურაია, 4) ევგენი გეგია, 5) სამსონ ნიკურაძე, ამათგან, თავმჯდომარეთ ს. ნინუა, თავმჯდომარის ამხანაგათ ა. ჭანტურაია, მდივნათ ვასო კორძაია.

რეგლამენტის გამომუშავება მიენდო პრეზიდიუმს.

ლ. ლევანიძე.

---

**ს. ბახვეთი** (გურია). 11 აგვისტოს ს. ბასილეთის ყრილობამ იქონია მსჯელობა კულტურულ დაწესებულებათა დაარსების შესახებ და დაადგინა: იქნას არჩეული კულტურულ განმანათლებელი კომისია, რომელსაც დაევალოს მოაწყოს წარმოდგენები, სეირნობა-საღამო, მოიწვიოს ლექტორები ლექციების წასაკითხავათ და გააძლიეროს ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა შესაძენი ფონდი. ამავე კომისიას დაევალა მიმართოს მოწოდებით ყველას დახმარებისათვის.

ყრილობამ აგრეთვე დაადგინა: გააკეთოს გზები, გამოიყვანოს წყალი. ეს სოფელი უწყლობით ყოველ წლივ იტანჯება და დღემდისაც ვერ მოუხერხებია წყლის გამოყვანა, მაგრამ ეხლა იმედი აქვთ, როგორც ერობის დახმარების, ისე მთავრობის ყურადღებისაც მილების შეღავათიან ფასებში დათმობით.

X.

---

**ტობანიერი.** ბათუმში მოვაჭრე ათანასე შარაშენიძემ შეგროვა ტობანიერის სახალხო სახლის ფონდის სასარგებლოდ ოთხი ათას ას ოთხმოცი მანეთი (4180 მ.), რისთვისაც თემის საეროვბო გამგეობა მას მადლობას უცხადებს.

## ცნობები

ოთხი წელიწადი სრულდება, რაც უგზო უკვლოდ დაიკარგა შვილი ჩემი სარდიონ ბართლომეს ძე თავართქილაძე მსახურებდა 116 ქვეითა პოლკში. ამდენი ხანი გადის და ვერაფერი გავიგე მის შესახებ. ვსთხოვ თუ ვინმემ რაიმე იცის მაცნობოს. ადრესი: ხიდისთავი, ბართლომე თავართქილაძეს.

---

1917 წელს, 1 რევოლიუციის დროს იყო ნოვოროსიაში ჯარისკაცი სამსონ ექვთიმეს ძე კეშელავა. ამავე წლის 27 თებერვლის შემდეგ არა ვიცით რა მისმა ჭირისუფლებმა. გთხოვთ ნაცნობებს და მეგობრებს გვაცნობოთ, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ. ადრესი: ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სასტუმრო „ევროპა" კარპეზ გოგიშვილი.

---

გერმანიიდან დაბრუნებულ ქართველ ტყვეებს ვთხოვ მაცნობონ თუ რამე იციან ალექსანდრე კირილის ძე გოგიშვილის შესახებ, რომელიც იმყოფებოდა ტყვეთ გერმანიაში. ადრესი: ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, კარპეზ გოგიშვილი.

## ჩვენი ფოსტა

**ლანჩხუთი.** ვლ. ასკურავას. გამოგზავნეთ.

## განცხადებანი


ჭრა-კერვის კურსები

**მ. ა. ბერიევესა**

(მოსკოვში ერმოლოვის კურს დამთავრებული) დაბრუნდა აგარაკიდან და განაახლა მიღება მოწაფეებისა და დაკვეთებისა, მიხეილის პრ. 97. (3—1)

**ცეკვის კურსები**

მე 27-დე წელი

ი. ა. როზენბერგისა.

სპეციალურად კავკასიური ცეკვა. აგრეთვე საბალეტო დამაბასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის ქ. № 101. (5—5)

ექიმი **ბესარიონ პაპავა**

მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

კბილის ექიმი **თ. ს. ცხოვრებაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება დილით 9—2 საღამოს. 5—6. კალოუბნის ქუჩა № 8. ტელეფონი 13—35. (10—8)

ექიმი **ლ. ა. ხარაძე.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი.**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილით 8—9 საათის და საღამოთი 4—7 საათის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

დოქტორი **მ. გოლდშტეინი.**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი **ა. ი. ...**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა სა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის დაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი **ბ. ბ. ...**

... ქირურგ. ავადმყოფებს მიიღებს ... ხელის საავადმყოფოს გვერდით. მყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 კვირა და უქმე დღეების გარდა. ფონი № 5—77.

ექიმი **მ. ა. ...**

სპეციალურად სიფილისი და მიდებები (შეშხაპუნება „606" და ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე განიების სნეულებანი. ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8— საღამოს 5—8 საათამდე. კვირა მხოლოდ დილით მისამართი: ქუჩა № 33.

ექიმი ქალი **ო. ბ. ...-ხაბა...**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა (606—914) 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. ნოვის პრ. № 119, ტელეფონი №

ექიმი **იოსებ რაჟდენის ძე ...**

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. ხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ფონი 11—06.

ექიმი **მ. შ. ...**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფებს. მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—

ექიმი **ნ. დ. ...**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, ... და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით შაბათობით დილ 10—11 საათ. რჩენ დღეებს დილის 12—3 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის ... გვერდით. ტელეფონი 14—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ა. ...**

შინაგანი ავადმყოფობა, ... გულისა იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ... და წამლობა X სხივებით, დიდინოიდი და არსევალი ტოკით ... ბის, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოდ ... დღე დილის 8—12 საათამდე და ... მოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 2 ... ლეფონი 7—92

**ბორჯომში**

პროფ. დოქტ. მედიც. **მ. ა. ...**

იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: ... რო „მინერალური წყლები" (Минеральныя воды).

ექიმი **ა. დ. ...**

სიფილისი და ვენერიული ... ლებანი. შეშხაპუნება „606" და ... მიღება დილით 9—11, საღამოთ ... ს. მიხეილის პროს. სასტუმრო ... პირდაპირ № 116 ტელ. 14—

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე ...**

იღებს სპეციალურად — მალ... (ციება და მისი შედეგებით დას... ბულთ) სისხლის ნაკლებობით, ... ფილტვისა, ქარებით და სხვა ... სნეულებით ავადმყოფთ ყოველ ... საღამოთი 4—6 საათამდე. ელექ... ... მისამართი: მოსკოვის ქ. ... ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**

დებულობს შინაგან, ყურის, ყელის ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს ... დილის 12—. ნახ. საათ. საღამოს ... საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა ... 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ... ტელეფონი 16—65

კვირას 21 სექტემბერს 1919 წ. დილის 10 საათზე ავლაბრის მუშათა კლუბში (კონსტანტინეს ქუჩა ყოფილი თეატრ პალასში) დანიშნულია ამავე კლუბის

**წევრთა საზოგადო კრება**

კრების წესრიგი; 1) მოხსენება გამგეობის. 2) ანგარიშების განხილვა. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) წესდების გარდაქმნა. 5) რეორგანიზაცია. 6) მიმდინარე კითხვები გთხოვთ ამხანაგებს ჩაეწეროთ მუშათა კლუბის წევრებად. კლუბის თავმჯდომარე ი. ხუციშვილი. გამგეობის წევრები ა. ალაფოვი, ... ნაბდიშვილი. ი. ბარამაშვილი. გ. მელიქ აგამიროვი, ა. ძამაშვილი. (2—

**თფილისის უმაღლესი საინჟენერო სასწავლებელი**

(საინჟენერო საამშენებლო და მეხანიკური განყოფ.)

ამით აცხადებს სტუდენტების საყურადღებოთ, რომ პირველ კურსზე მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბრიდან საღ 5 საათ. სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხ. ქ. № 91) მეორე კურსზე—1 ოქტომბრიდან. საეგზამენო სესია 20 სექტ.—1 ოქტ—მდე თხოვნების მიიღება, ცნობების გაგება შეიძლება სასწავლ. კანცელარიაში (მიხ. ქ. № 1 დილის 10—1 ს. და საღ, 6—7 ს. (4—

**იყიდება მიწა ოზურგეთში**

ბათომის ქუჩისა და შესახვევის კუთხე, ზომით 414 საჟ., ხეხილით მოშენებ... მისამართი: თფილისი, იზმაილოვის შესახვ. (ვერაზე) № 6, ს. გრიაზნოვი.

**ბორჯომის წყალი**

განმეორებით ვაცხადებ პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ბორჯომის წყალი ბოთლიანათ ღირს ხუთი მანეთი.

გაცივებული — ექვსი მანეთი. ჭიქობით — თითო მანეთი.

ბოთლები უკანვე მიიღება. მისამართი: რუსთაველის (გოლოვინის) პროსპ. №

(2—2) პატივისცემით დავით ქებაძე.

წიგნის მაღაზია „განათლებაში" ოლღას ქ. № 6.

და **ჩოხატაურში** იყიდება **რვეულები** და **სახელმძღვანელოები.** (6—3)